ქართველობის გადასარჩენად

# ილორი

«ის კი არაა სირცხვილი, რომ მეგრულად საუბრობენ, არამედ ისაა, რომ დანარჩენ ქართველებს არ გვესმის მეგრული», — აკაკი შანიძე.

№467 (526) 15 - 28 იანვარი 2020 წ. | სახალხო მოძრაობა «სამეგრელოს» ორგანო | ფასი 50 თეთრი

# პატრიარქის საშობაო ეპისტოლე

შენ გვასწავლე, იესო, რომ სიყვარულშია ხსნა, რომ სიმდაბლეშია — სიმაღლე, სიმარტივესა და უბრალოებაში — სიდიადე; მოყვასის მსახურებაში — სიხარული; გაცემაში — შეძენა და დათმენაში — გამარჯვება; რომ მტრის სიყვარულშია სიყვარულის სისრულე და სხვისთვის თავგანწირვაშია საკუთარი სულის პოვნა... 5



## გური ოტობაიას შემოქმედების დიდი აღიარება 10



ზურაბ კვარაცხელია:

## ეროვნული მოძრაობის წევრობა ნიშნავს - იცავდე, დიახ, უკომპრომისოდ და დაუღალავად იცავდე ეროვნულ-ტრადიციულ და მართლმადიდებლურ-ქრისტიანულ ფასეულობებს! 4

## ლესალეს არქეოლოგიური მემკვიდრეობა 11



## სამეგრელო-ზემო სვანეთის სპორტსმენების 134 მედალი 9



## ბოტანიკურ ბაღში კოლხური ბზის ხეივნის აღდგენა სურთ 3



## ნახევარ მილიარდ ლარზე მეტი ღირებულების C ჰეპატიტის მედიკამენტს ვადა გაუვიდა — აუდიტი

**სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ანგარიშის თანახმად, საქართველოს მიერ ც - ჰეპატიტის მართვის პროგრამის ფარგლებში მიღებულ ნახევარ მილიარდ ლარზე მეტი ღირებულების მედიკამენტს ვადა გაუვიდა. როგორც ჯანდაცვის სამინისტროს ფინანსური აუდიტის ანგარიშიდან ირკვევა, სოციალური მომსახურების სააგენტოს სხვა დანარჩენი მატერიალური მარაგების ანგარიშზე, 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით აღრიცხული აქვს ც - ჰეპატიტის მართვის პროგრამის ფარგლებში 560,645,083 ლარის ვადაგასული მედიკამენტი.**

თავად სააგენტოში აღნიშნულს ბენეფიციართა მიმართვიანობის შემცირებით ხსნიან.

„პროგრამის ამოქმედების თავდაპირველ ეტაპზე (2015 წელი) ძირითადი სამკურნალო პრეპარატი იყო „სოფოსბუვირი“ („სოვალდი“), რომელიც სამკურნალო რეჟიმების მიხედვით ინიშნებოდა სხვა მედიკამენტებთან („ინტერფერონი“ და „რიბავირინი“) კომბინაციით. 2016 წლის თებერვლიდან აღნიშნული პრეპარატი ჩანაცვლდა ახალი თაობის მედიკამენტით „ჰარვონი“, რომლის მიხედვით, შეიცვალა სამკურნალო რეჟიმები, რამაც მკვეთრად შეამცირა თავდაპირველ ეტაპზე გამოყენებული პრეპარატების („სოფოსბუვირი“, „ინტერფერონი“ და „რიბავირინი“) მოხმარება. ასევე სააგენტოს განმარტებით, არსებობს პაციენტების მხრიდან მკურნალობის თვითნებური შეწყვეტის ან მათი გარდაცვალების ფაქტები“, — აღნიშნულია ანგარიშში.

## მთავრობა პირთა ნაწილს, რომელიც სურსათსა და რძის ნაწარმს აწარმოებს ან 300-მდე ფრთა ფრინველი ყავთ, ვალდებულებებს უწესებს

**მთავრობამ „სურსათის/ცხოველის საკვების არაორგანიზებული წარმოების წესი“ დაამტკიცა.**

**დადგენილების მიხედვით, სურსათის/ცხოველის საკვების ან/და პირველადი პროდუქტის წარმოება წარმოადგენს არაორგანიზებულ წარმოებას, თუ ოჯახური წარმოების სუბიექტის საკუთრებაშია, ფლობს ან/და აწარმოებს ერთ-ერთს მაინც ჩამოთვლილთაგან:**

არაუმეტეს 300 ფრთა ფრინველი და მისგან წარმოებული ხორცი ან/და კვერცხი;

არაუმეტეს 10 ფუტკრის სკა და მისგან წარმოებული თაფლი;

არაუმეტეს 30 სული ბოცვრისნაირი და მისგან წარმოებული ხორცი;

იდენტიფიცირებულ-რეგისტრირებული მსხვილფეხა საქონლისგან მიღებული რძე და რძის ნაწარმი, იმ შემთხვევაში, თუ ამ მსხვილფეხა საქონლის სულადობა არ აღემატება 5 სულს;

იდენტიფიცირებულ-რეგისტრირებული წვრილფეხა საქონლისგან მიღებული რძე და რძის ნაწარმი, იმ შემთხვევაში, თუ ამ წვრილფეხა საქონლის სულადობა არ აღემატება 15 სულს;

არაუმეტეს 2 ჰა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე წარმოებული სურსათი ან/და ცხოველის საკვები.

ამასთან, როგორც დადგენილებაშია განსაზღვრული, ოჯახური წარმოების სუბიექტის მიერ წარმოებულ სურსათს/ცხოველის საკვებს თან უნდა ახლდეს ინფორმაცია, სულ მცირე, ოჯახური წარმოების სუბიექტის რეგისტრაციის ნომრის შესახებ.



„ოჯახური წარმოების სუბიექტი ვალდებულია: რეგისტრაცია გაიაროს — სურსათის ეროვნულ სააგენტოში; შეასრულოს სააგენტოს მითითებები ეპიზოოტიის საწინააღმდეგო, პრევენციული, სალიკვიდაციო და საიდენტიფიკაციო-სარეგისტრაციო ღონისძიებების განსახორციელებლად; ითანამშრომლოს შესაბამის უფლებამოსილ ორგანოებთან ცხოველთა დაავადების საწინააღმდეგო სადიაგნოსტიკო, პრევენციული და სალიკვიდაციო ღონისძიებებისა და ცხოველთა იდენტიფიკაცია-რეგისტრაციის ღონისძიებების განხორციელებისას; უზრუნველყოს ცხოველთა (მათ შორის, შინაურ ბინადარ ცხოველთა) კეთილდღეობა; უზრუნველყოს ცხოველთა გადარეკვა, გადაზიდვა და რეალიზაცია, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით; უზრუნველყოს ცხოველური წარმოშობის არასასურსათო დანიშნულების პროდუქტის განკარგვა, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით; გადამდები დაავადებების, აგრეთვე ცხოველთა მასობრივი მოწამვლა-მოშხამვის შემთხვევების შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს სააგენტოს; შეასრულოს სააგენტოს მითითებები ეპიზოოტიის საწინააღმდეგო, პრევენციული და სალიკვიდაციო ღონისძიებების განსახორციელებლად; შეასრულოს სააგენტოს მითითებები იმ მავნე ორგანიზმის მასობრივი გავრცელების თავიდან ასაცილებლად, რომელიც საფრთხეს უქმნის მცენარის სიჯანსაღეს; ითანამშრომლოს შესაბამის უფლებამოსილ ორგანოებთან მავნე ორგანიზმების გავრცელების საწინააღმდეგო, პრევენციული და სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელებისას; საკარანტინო მავნე ორგანიზმების გამოვლენის ან/და მათ შესახებ ეჭვის არსებობის შემთხვევაში, დაუყოვნებლივ აცნობოს სააგენტოს“, — ვკითხულობთ დადგენილებაში.

## აფხაზეთის დე ფაქტო პრეზიდენტის არჩევნების შედეგები სასამართლომ ბათილად ცნო

**აფხაზეთის უზენაესმა სასამართლომ ბათილად ცნო პრეზიდენტის არჩევნების შედეგები. უზენაესი სასამართლოს სხდომა, რომელიც „ამცახარას“ ლიდერის ალხას კვიწინიას საჩივარს განიხილავდა პრეზიდენტის არჩევნების ბათილად ცნობაზე, დასრულდა — მოსამართლის გადაწყვეტილებით, დე ფაქტო ცენტრალურ საარჩევნო კომისიას დაევალა დადგენილ ვადაში დანიშნოს პრეზიდენტის არჩევნები.**



2019 წელს, ოკუპირებულ აფხაზეთში ე.წ. საპრეზიდენტო არჩევნები ორ ტურად ჩატარდა. სექტემბერში მეორე ტურში მოქმედმა დე ფაქტო პრეზიდენტმა, რაულ ხაჯიმბამ გაიმარჯვა. მან ამომრჩეველთა ხმების 47.38% მიიღო. ალხას კვიწინიამ 46.19%.

9 იანვარს, არჩევნების შედეგების გაუქმების მოთხოვნით, მომიტინგეებმა დე ფაქტო პრეზიდენტის ადმინისტრაციის შენობა დაიკავეს. დე ფაქტო პარლამენტის დეპუტატებმა რაულ ხაჯიმბას გადადგომისკენ მოუწოდეს. თავის მხრივ ხაჯიმბამ განაცხადა, რომ გადადგომას არ აპირებს.






## რაულ ხაჯიმბა ე.წ. არჩევნების ბათილად გამოცხადების გადაწყვეტილებას გაასაჩივრებს

**ოკუპირებული აფხაზეთის ე.წ. პრეზიდენტი რაულ ხაჯიმბა, ე.წ. არჩევნების შედეგების ბათილად ცნობის შესახებ დე ფაქტო უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებას ეხმაურება. მისი თქმით, ის აპირებს აღნიშნული გადაწყვეტილება გაასაჩივროს.**

„საჭიროდ ვთვლით აღვნიშნოთ, რომ ეს განმარტებები გაკეთდა კანონის დარღვევით და შესაძლოა, გამოიწვიოს ქვეყანაში მძიმე სოციალურ-პოლიტიკური ვითარების გამწვავება. გადაწყვეტილება მიღებულ იქნა სამთავრობო შენობების დარბევის, პრეზიდენტის ადმინისტრაციაში შეჭრისა და სასამართლოს შენობის ალყაში მოქცევის ფონზე. ასეთი მოვლენების პარალელურად, სასამართლოს არ ჰქონდა საშუალება ობიექტური გადაწყვეტილება მიეღო. ჩვენ მას უზენაესი სასამართლოს პრეზიდიუმში გავასაჩივრებთ“, — ნათქვამია განცხადებაში, რომელიც დე-ფაქტო პრეზიდენტის გვერდზე გამოქვეყნდა.

შეგახსენებთ, ოკუპირებულ აფაზეთში ორი დღის მანძილზე ოპოზიციის მხარდამჭერების აქციები იმართებოდა. მომიტინგეებმა ე.წ. პრეზიდენტის ადმინისტრაციის ფანჯრები ჩაამსხვრიეს და შენობაში შეიჭრნენ. მოგვიანებით, ე.წ. უზენაესი სასამართლოს საკასაციო კოლეგიამ დააკმაყოფილა „ამცახარას“ ლიდერის, ალხას კვიწინიას საჩივარი „საპრეზიდენტო არჩევნების შედეგების ბათილად ცნობის შესახებ“.

## სოხუმი თბილისს — მიხედეთ თქვენს პრობლემებს

**აფხაზეთის დე ფაქტო საგარეო საქმეთა მინისტრი ეხმაურება თბილისში გაკეთებულ განცხადებებს სოხუმში მიმდინარე მოვლენებზე. მათ შორის იმ ნაწილს, სადაც ცალკეული პოლიტიკოსები მოუწოდებენ საერთაშორისო თანამეგობრობას, ჩაერთონ პროცესებში.**

„ნუ ერევით სუვერენული სახელმწიფოს საქმეებში. მიხედეთ თქვენს შიდა პრობლემებს, რომელიც არც თუ ცოტა გაქვთ. ჩვენ კი თავადვე ვიპოვით გამოსავალს შექმნილი ვითარებიდან“, - წერს დაურ კოვე ფეისბუკის გვერდზე.

დე ფაქტო პრეზიდენტის ადმინისტრაციის შენობასთან ოპოზიცია და მისი მხარდამჭერები საპროტესტო შეკრებას მართავენ, რაულ ხაჯიმბას გადადგომის და ახალი არჩევნების დანიშვნის მოთხოვნით.

პარარელურად, დაგეგმილია ხაჯიმბას მომხრეთა აქციაც.

9 იანვარს, გვიან ღამით, 19 ხმით ოთხის წინააღმდეგ აფხაზეთში, დე ფაქტო პარლამენტის ე.წ. დეპუტატებმა მიიღეს დადგენილების პროექტი, რომლითაც რაულ ხაჯიმბას გადადგომისკენ მოუწოდებენ. თავის მხრივ დე ფაქ-



ტო პრეზიდენტმა განაცხადა, რომ გადადგომას არ აპირებს.

## აშშ-მა ირანს ახალი სანქციები დაუწესა

**აშშ-მა ირანს ახალი სანქციები დაუწესა. შესაბამის ბრძანებას აშშ-ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა ხელი უკვე მოაწერა. ამ ინფორმაციას CNN ავრცელებს.** გამოცემის ცნობით, სანქციები ირანის სამშენებლო, ქსოვილისა და მადნების მომპოვებელ კომპანიებს დაუწესდათ. ამასთანავე სანქციები დაუწესდა 8 ირანელ მაღალჩინოსანს. აშშ-ის სახელმწიფო მდივნის, მაიკ პომპეოს თქმით, სანქციები იქამდე გაგრძელდება, სანამ ირანი პოლიტიკას არ შეცვლის.

შეგახსენებთ, რომ ახალი სანქციების დაწესების შესახებ დონალდ ტრამპმა საგანგებო ბრიფინგის დროს განაცხადა.



# ამირან გამყრელიძე — ჩამოიწერა არა ნახევარი მილიარდი ლარის, არამედ 2 ათასი ადამიანის სამყოფი წამალი

**დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის დირექტორი ამირან გამყრელიძე აცხადებს, რომ სტრატეგიულ მარაგში ყოველთვის უნდა გქონდეს გარკვეული რაოდენობის მედიკამენტი, რადგან ჯობია დაგრჩეს, ვიდრე დაგაკლდეს. მისივე ინფორმაციით, ჩამოიწერა არა ნახევარი მილიარდი ლარის ღირებულების მედიკამენტი, რაზეც სახელმწიფო აუდიტის სამსახური საუბრობს, არამედ 2000 ადამიანის სამყოფი მედიკამენტი.**



„ჩვენ ყოველთვიურად ვმკურნალობთ 1000-დან 1200 ადამიანს. ანუ, სტრატეგიულ მარაგში ყოველთვის უნდა გქონდეს გარკვეული რაოდენობა იმიტომ, რომ ვცდილობთ ყოველთვიურად ჩართვის მაჩვენებელი ავწიოთ. 16 ათასი ადამიანი, რომელიც ვიცით, რომ არის ანტიგენ დადებითი და არ მოდის და მკურნალობაში არ ერთვება, იმ ადამიანმა რომ გადაწყვიტოს მკურნალობაში ჩაერთოს, მისთვის მარაგი ხომ უნდა გვქონდეს. თქვენ ვერასდროს ვერ იანგარიშებთ ერთი ერთზე, ჯობია, რომ დაგრჩეს, ვიდრე დაგაკლდეს. არ არის ეს ნახევარი მილიარდი ღირებულების, ეს არის 2000 კოლოფი, რომელიც არის სულ 2 თვის სამკურნალო დღევანდელი მიმდინარეობით დოზა წამლის, რომლის დღევანდელი ღირებულება არის რამოდენიმე ასეულჯერ ნაკლები“, — განაცხადა ამირან გამყრელიძემ.

მისივე თქმით, თავდაპირველი პროგნოზით, ც — ჰეპატიტის მკურნალობის გეგმა უნდა შესრულებულიყო 2020 წელს, მაგრამ სავარაუდოდ, 2-3 წელი კიდევ იქნება საჭირო ყველა დაავადებულის განსაკურნებლად.

ამირან გამყრელიძისვე ცნობით, ამ დროისთვის გამოვლენილი 101 ათასი ანტიგენ დადებითი ადამიანიდან მკურნალობის პროცესში, დაახლოებით 16-17 ათასი ადამიანი არ ჩაერთო.

„დღეს ჩვენ 2,8 მილიონი მოზრდილი ადამიანიდან, ვინც ცხოვრობს საქართველოში, უკვე სკრინირებული გვყავს დაახლოებით 1 750 000, ანუ 60%-ზე მეტი. მკურნალობაში ჩართულია 65 ათასი ადამიანი, 58 ათასმა ადამიანმა დაასრულა მკურნალობა -98,7%-იანი განკურნების ეფექტით. ეს არის საქართველოს მედიცინის უზარმაზარი მიღწევა“, — განაცხადა ამირან გამყრელიძემ.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ანგარიშის მიხედვით, საქართველოს მიერ ც - ჰეპატიტის მართვის პროგრამის ფარგლებში მიღებულ ნახევარ მილიარდ ლარზე მეტი ღირებულების მედიკამენტს ვადა გაუვიდა და მისი გამოყენება ვერ მოხერხდა.

# საპენსიო სააგენტომ 6 იანვარს დაგროვებითი საპენსიო სქემის სპეციალიზებული დეპოზიტარის შესარჩევი ტენდერი გამოაცხადა

**სსიპ საპენსიო სააგენტომ 2020 წლის 6 იანვარს გამოაცხადა დაგროვებითი საპენსიო სქემის სპეციალიზებული დეპოზიტარის შესარჩევი ტენდერი, რომელიც ხელმისაწვდომია როგორც ადგილობრივი, ასევე საერთაშორისო დაინტერესებული ორგანიზაციებისათვის. ამის შესახებ საპენსიო სააგენტოდან იუწყებიან.**

მათი ინფორმაციით, სპეციალიზებული დეპოზიტარის შერჩევა წარმოადგენს კანონმდებლობით განსაზღვრულ ფასიან ქაღალდებში ინვესტირების აუცილებელ წინაპირობას.

„სპეციალიზებული დეპოზიტარის ძირითადი მოვალეობები იქნება ფასიანი ქაღალდების დეპონირება, საპენსიო აქტივების რეგულარული აღრიცხვა და ანგარიშგება. აღსანიშნავია, რომ დაგროვებითი საპენსიო სქემის სპეციალიზებული დეპოზიტარის საქმიანობა წარმოადგენს რეგულირებად საქმიანობას და სსიპ საპენსიო სააგენტოს წინასწარი შერჩევის შემდეგ, სპეციალიზებული დეპოზიტარის ფუნქციის შესრულების მსურველმა ორგანიზაციამ შესაბამისი ავტორიზაცია უნდა გაიაროს საქართველოს ეროვნულ ბანკთან. შერჩევისა და დანიშვნის პროცესის დასრულება მოსალოდნელია 2020 წლის მე-2 კვარტალში. დაგროვებითი საპენსიო სქემის სპეციალიზებული დეპოზიტარის შესარჩევი სატენდერო დოკუმენტი, სადაც განსაზღვრულია ტენდერში მონაწილეობის დეტალური პირობები, შესაძლებელია მოძიებულ იქნას სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ელექტრონული შესყიდვების ვებგვერდზე — tenders.procurement.gov.ge „საპენსიო სააგენტოს“ ან განცხადების ნომერი:

GEO200000002-ის ძიებით.

ყველა დაინტერესებულმა პირმა, დოკუმენტის მოსაძიებლად უნდა გაიაროს რეგისტრაცია აღნიშნულ ვებგვერდზე.

2019 წლის პირველი იანვრიდან დღემდე საპენსიო სააგენტოში აკუმულირებულია 570 მილიონი ლარი, დარეგისტრირებულია 61 299 კომპანია და 961 291 უნიკალური მონაწილე“, — აღნიშნულია საპენსიო სააგენტოს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

# ბოტანიკურ ბაღში კოლხური ბზის ხეივნის აღდგენა სურთ

**ზუგდიდის ბოტანიკური ბაღში, დადიანების მიერ გაშენებული ბზის ხეივანი სოკოვანი დაავადებისა და საშიში მავნებლის — ბზის ალურას მასობრივი გავრცელების გამო განადგურდა, თუმცა ბაღის ადმინისტრაციაში ამბობენ, რომ მისი აღდგენა სურთ.**



„მოქალაქე ინგა ჯოჯუას ჰქონდა ინიციატივა, ბზის ხეივანი აღგვედგინა. მეც სოციალურ ქსელში დავწერე, რომ მზად ვარ შევუერთდე ამ კამპანიას და თუ ვინმეს შეუძლია მოიტანოს ბზის თუნდაც ერთი ნერგი, სიამოვნებით მივიღებთ“, — აცხადებს „ბოტანიკური ბაღების მართვის ცენტრის” ხელმძღვანელი ზვიად ქარჩავა.

მისივე თქმით, თუ ამ პროცესში მოქალაქეები აქტიურად ჩაერთვებიან, ხეივნის აღდგენის კამპანიაც შესაძლოა წარმატებული აღმოჩნდეს.

ბზის ხეივნის აღდგენის ინიციატორმა, მოქალაქე ინგა ჯოჯუამ კი თქვა, რომ რამდენიმე ნერგი, რომელიც შარშან ბზობის დღესასწაულზე ნაყიდი ტოტებიდან გაახარა, მზადაა ბაღს აჩუქოს.

„ახლობლებმა, ვინც საქართველოში არ ცხოვრობს, მთხოვეს ვიდეოს გადაღება განახლებულ ბოტანიკურ ბაღში და ქალიშვილმა გადამიღო, სადაც გამოვთქვი აზრი, რომ რატომ არ შეიძლება ბზის ხეივნის აღდგენა. ამ ვიდეოს გამოხმაურება მოჰყვა სოციალურ ქსელში. ვფიქრობ, შეუძლებელი არაფერია“, — ამბობს მოქალაქე.

საქართველოში ბზის კორომების დიდი ნაწილის განადგურების მიუხედავად, ხეივნის აღდგენა შესაძლებელია, — ფიქრობს კოლხური ბზის მცველი სანდრო ნარსიაც.

**„ზაფხულში ვიყავი ზუგდიდში ჩემს ლექტორთან ერთად, რომელიც დისერტაციას იცავს ბზაზე და მაშინ ვსტუმრობდით ბოტანიკურ ბაღს. შევხვდი დირექტორს, ზვიად ქარჩავას. ვისაუბრეთ ხეივნის აღდგენაზე და ვფიქრობ, რომ შესაძლებელია, რადგან შარშან ბზობაზე, ქუჩაში გადაყრილი მცენარის ტოტები რომ მოვიტანე სახლში და დავაკალმე, დაახლოებით 50-მა ნერგმა გაიხარა. ამიტომ ვიფიქრობ, შესაძლებელია ბზების დარგვა. გარდა ამისა, შემიძლია ჩემი ეზოდანაც მივიტანო ნერგები, რომელიც ურთის მთიდანაა. ამ დეტალებზე ჯერ არ გვისაუბრია, თუმცა ბაღთან თანანმშორმლობას ამ მიმართულებით ვაპირებ“,** — აცხადებს სანდრო ნარსია.

# ახალი რეგულაციები, რომლებიც 2020 წლიდან ამოქმედდება

### ბაზრებზე მოვაჭრეებს სალაროები 2022 წლამდე არ დასჭირდებათ

ფიზიკური პირები, რომლებიც ბაზრის (ბაზრობის) ტერიტორიაზე საქმიანობენ, სალარო-აპარატების გამოყენებისგან 2022 წლამდე თავისუფლდებიან. პარლამენტმა მესამე მოსმენით მხარი დაუჭირა ცვლილებას: “2022 წლის 1-ლ იანვრამდე საკონტროლო სალარო-აპარატების გამოყენების ვალდებულებისგან თავისუფლდებიან ფიზიკური პირები, რომლებიც არ იყენებენ დაქირავებულ პირთა შრომას და ახორციელებენ ეკონომიკურ საქმიანობას ბაზრის (ბაზრობის) ტერიტორიაზე განლაგებული არასტაციონარული სავაჭრო ადგილიდან, მათ შორის, დახლიდან. სალარო აპარატების გამოყენების ვალდებულებისგან არ თავისუფლდებიან ის ფიზიკური პირები, რომლებსაც მინიჭებული აქვთ მცირე ბიზნესის სტატუსი, ან დარეგისტრირებული არიან დღგ-ის გადამხდელად“.

### მოწევა სტადიონზეც იკრძალება

მოწევა იკრძალება სტადიონებსა და სპორტულ კომპლექსებში — კანონი 2020 წლის 1-ლი იანვრიდან ამოქმედდება. თამბაქოს კონტროლის კანონის თანახმად, რეგულაციის დაკმაყოფილება მოუწევთ ისეთ სტადიონებს თუ სპორტულ დაწესებულებებს, რომელთაც ადმინისტრაცია ჰყავთ. მათ ევალებათ სტადიონზე ამკრძალავი ნიშნების განთავსება და გულშემატკივართა ინფორმირება; შეუძლიათ მწეველთათვის მოსაწევი ადგილების გამოყოფა.

დარღვევის შემთხვევაში ადმინისტრაცია პირველ ჯერზე 500 ლარით დაჯარიმდება, განმეორებით — 1000 ლარით, მესამე და შემდეგ ჯერზე ჯარიმა უკვე 2000 ლარს აღწევს. 2020 წლის 1-ლ იანვრამდე დასაშვები იყო თამბაქოს მოწევა სასტუმროს ნომრების არა უმეტეს 20%-ში და ასევე სტადიონის ტერიტორიის არა უმეტეს 50%-ში და ეს დაშვება ძალას დაკარგავს.

### ამოქმედდება დასაქმების ხელშეწყობის სააგენტო

დასაქმების ხელშეწყობის სააგენტო მომავალი წლიდან სოციალური მომსახურების სააგენტოს შრომისა და დასაქმების ხელშეწყობის მიმართულებით არსებულ ფუნქციებსა და უფლებამოსილებებს შეასრულებს. მათ შორის არის პროფესიული უნარების განვითარება, მომზადება-გადამზადება, სტაჟირება, სუბსიდირება, კონსულტირება და კარიერის დაგეგმვა. ამავე სააგენტოს უფლებამოსილება იქნება ცირკულარული მიგრაციის საკითხების მართვა, რომლის ფარგლებშიც ადგილობრივი კადრების გადამზადება და ლეგალური დასაქმება უცხოეთში მოხდება.

### თხევადი აირის აირბალონებისა და აირის სისტემების ტექინსპექტირება

2020 წლის 1-ლი იანვრიდან ავტოსატრანსპორტო საშუალებებზე განთავსებული თხევადი აირის აირბალონისა და მისი სისტემის ტექნიკური ინსპექტირება სავალდებულო გახდება. შესაბამისად, მძღოლები ვალდებული იქნებიან, ავტოსატრანსპორტო საშუალების პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების დროს, თან იქონიონ თხევადი აირის აირბალონისა და შესაბამისი სისტემის ტექნიკური გამართულობის შესახებ ინსპექტირების სერტიფიკატი. ის გაცემული უნდა იყოს აკრედიტებული შესაბამისობის შემფასებელი პირის მიერ. ხოლო ამ სერტიფიკატის არქონის შემთხვევაში, ავტომობილი პერიოდულ ტექინსპექტირებაზე არ დაიშვება. გათხევადებული აირის აირბალონი ექვემდებარება პერიოდულ ტექნიკურ ინსპექტირებას 5 წელიწადში ერთხელ, ხოლო თხევადი აირის სისტემა — 3 წელიწადში ერთხელ.

### რა ელით მარჯვენასაჭიან და საჭეგადატანილ მანქანებს

ასეთი ავტომობილების მფლობელებისთვის რეგულაციები 2020 წლის 1-ლი აპრილიდან ამოქმედდება. კერძოდ, თუ მძღოლი საჭის გადატანასა და ტექინსპექტირების გავლას 2020 წლის 1-ლ აპრილამდე მოასწრებს, მისი ავტომობილი ტექინსპექტირებას შემდგომ წლებშიც გაივლის. ამ ვადის გასვლის შემდეგ კი საჭის გადატანა და ასეთი ავტომობილის ტექდათვალიერებაც იკრძალება. იგივე რეგულაციები ვრცელდება მარჯვენასაჭიან ავტომობილებზეც.

რაც შეეხება მარჯვენასაჭიანი ავტომობილების მაშუქებს, რომელთა მიმართულების შესაცვლელად შესაძლებელი იყო შესაბამისი სტიკერების გამოყენება, 2020 წლის 1-ლ აპრილამდე ასეთი ავტომობილები შეძლებენ ტექინსპექტირების გავლას, ამის შემდეგ კი ფარების შეცვლის ვალდებულება ექნებათ.

აღსანიშნავია კიდევ ერთი ცვლილება, რომლის თანახმადაც, 10 წლისა და მეტი ხნის საბურავებით ავტომობილები ტექინსპექტირებას ვერ გაივლიან.

# ზურაბ კვარაცხელია: ეროვნული მოძრაობის წევრობა ნიშნავს - იცავდე, დიახ, უკომპრომისოდ და დაუღალავად იცავდე ეროვნულ-ტრადიციულ და მართლმადიდებლურ-ქრისტიანულ ფასეულობებს!



ზურაბ კვარაცხელია

თანამემამულენო!

**როცა გვაქვს პრეტენზია ვიყოთ ეროვნული მოძრაობის წევრი და ქვეყნის პატრიოტი, მაშინ უპრიანია, უფრო სწორედ, აუცილებელია გვესმოდეს ისიც, რომ: ეროვნული მოძრაობის წევრობა ნიშნავს — იცავდე, დიახ, უკომპრომისოდ და დაუღალავად იცავდე ეროვნულ-ტრადიციულ და მართლმადიდებლურ-ქრისტიანულ ფასეულობებს!..**

ეროვნული მოძრაობის წევრობა ნიშნავს — არ გაწირო შენს სამშობლოში გლობალისტურ-მონდიალისტური იდეოლოგიის პროპაგანდა-აგიტაცია!

ეროვნული მოძრაობის წევრობა ნიშნავს — შეურყევლად იდგე ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესების სადარაჯოზე!

ეროვნული მოძრაობის წევრობა ნიშნავს — ზესახელმწიფოების მხრიდან უაღრესად რთული გეოპოლიტიკური თამაშების პერიოდში, გამოავლინო სტრატეგიული აზროვნების მაქსიმალური უნარი და მინიმალური დანაკარგებით შეეცადო საკუთარი სამშობლოს ჩიხიდან გამოყვანას!

ეროვნული მოძრაობის წევრობა ნიშნავს — მეტაფორულად რომ ვთქვა — გლობალიზაციის ცუნამის შემოტევისას აუცილებლად გაამაგრო არსებული ჯებირები და შეეცადო დამატებითი დამცავი მექანიზმების კონსტრუირებასაც!

ეროვნული მოძრაობის წევრობა ნიშნავს — იყო უღრესად ბრძენი, პრაგმატული, რადგან ოდენ ცარიელი პატრიოტული სულისკვეთება ნამდვილად არაა საკმარისი და აუცილებელია ამის სინთეზირება!

ეროვნული მოძრაობის წევრობა ნიშნავს — როცა არსებობს დილემა ცუდსა და უარესს შორის — აირჩიო უფრო მისაღები ვარიანტი და არ გაწირო ერი შენი და სამშობლო შენი — საბოლოოდ გასანადგურებლად და დასაღუპავად!

ეროვნული მოძრაობის წევრობა ნიშნავს — ყოველგვარი პირადულის და ფობიების გარეშე, ნებისმიერი შენი მოქმედება დაუქვემდებარო მხოლოდ და მხოლოდ სამშობლოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივ ინტერესებს!

ეროვნული მოძრაობის წევრობა ნიშნავს — სულმნათი მერაბ კოსტავას სიტყვებით, რომ ვთქვა — გიყვარდეს ეროვნული მოძრაობა შენში და არა შენი თავი ეროვნულ მოძრაობაში!

**ზურაბ კვარაცხელია**

> „ქართული ეროვნული ცნობიერება უნდა აღსდგეს ქრისტიანული რწმენისა და ქართული ეროვნული იდეოლოგიის აღორძინებითა და პროპაგანდით, ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის აქტივიზაციით, ქართული სახელმწიფოებრიობისა და ეროვნული ხელისუფლების აღდგენით. წინააღმდეგ შემთხვევაში, მოგველის ეროვნული გადაგვარება და კატასტროფა.
>
> ჭეშმარიტი მსოფლიო მოქალაქეობა კი ეროვნული თვითშეგნების გარეშე არ არსებობს. ის, ვინც „გაინგლისელდება“, „გაგერმანელდება“, „გაფრანგდება“, „გარუსდება“, „გაამერიკელდება“, ვერასოდეს გახდება ინგლისელი, გერმანელი, ფრანგი, რუსი, ან ამერიკელი და ქართველობასაც დაჰკარგავს. და თუ ქართველებად დავრჩებით და თანაც, ვეზიარებით ამ ერების კულტურებს, გავაფართოვებთ და გავამდიდრებთ ჩვენს სამყაროს, გავხდებით ნამდვილი მსოფლიო მოქალაქენი. ევროპული ინტეგრაციაც ასე უნდა გავიგოთ და არა როგორც ეროვნული ინდივიდუალობების წაშლა და გათქვეფვა“.
>
> **ზვიად გამსახურდია**

# «ვაშინგტონ პოსტი» — აშშ-მა გასულ კვირას კიდევ ერთი საიდუმლო ოპერაცია განახორციელა, თუმცა წარუმატებლად

The Washington Post

**აშშ-მა გასულ კვირას, ბაღდადის აეროპორტზე თავდასხმის პარალელურად კიდევ ერთი საიდუმლო ოპერაცია განახორციელა ირანელი მაღალჩინოსნების წინააღმდეგ, თუმცა ის წარუმატებელი აღმოჩნდა. ამის შესახებ „ვაშინგტონ პოსტი“ საკუთარ წყაროზე დაყრდნობით წერს.**

გამოცემის ცნობით, ამჯერად ვაშინგტონი გეგმავდა ოპერაცია იემენში, „ყუდსის“ ძალების კიდევ ერთი მაღალჩინოსნის, აბდულ რეზა შაჰლაის წინააღმდეგ განეხორციელებინა. როგორც ცნობილია, შაჰლაი „ყუდსის” ძალების ერთ-ერთი დამფინანსებელი და მეთაურია.

დეკემბერში, სახელმწიფო დეპარტამენტის სპეციალურმა წარმომადგენელმა ირანის საკითხებში განაცხადა, რომ თეთრი სახლი 15 მილიონ დოლარს გადაიხდიდა შაჰლაის ფინანსური აქტივობების, კავშირებისა და თანამებრძოლების შესახებ მნიშვნელოვანი ინფორმაციისთვის.

შეგახსენებთ, 3 იანვარს პენტაგონმა ერაყის დედაქალაქის აეროპორტში თავდასხმა განახორციელა, რომლის დროსაც ერაყისა და ირანის სამხედრო მაღალჩინოსნები, მათ შორის „ყუდსის ძალების“ გენერალი ყასემ სოლაიმანი დაიღუპა.



# ირანის რევოლუციური გვარდია «უკრაინის ავიახაზების» თვითმფრინავის ჩამოგდებაზე პასუხისმგებლობას იღებს

**„უკრაინის ავიახაზების“ ბოინგის ჩამოგდებაზე პასუხისმგებლობა ირანის რევოლუციურმა გვარდიამ აიღო. ორგანიზაციის მიერ გავრცელებულ განცხადებაში ნათქვამია, რომ თვითმფრინავი შეცდომით „მტრულ სამიზნედ“ აღიქვეს, რადგან სამხედროები „მზაობის უმაღლეს დონეზე“ იყვნენ.**

„ასეთ პირობებში, ადამიანური შეცდომა მოხდა წინასწარი განზრახვის გარეშე და თვითმფრინავს ესროლეს“,- აცხადებენ ირანის რევოლუციურ გვარდიაში. განცხადების თანახმად, ირანის რევოლუციური გვარდია მომხდარის გამო ბოდიშს იხდის და პირობას დებს, რომ მომავალში საჰაერო სისტემებს განაახლებენ.

შეგახსენებთ, ცოტა ხნის წინ ირანის შეიარაღებული ძალების გენერალურმა შტაბმა აღიარა, რომ უკრაინული სამგზავრო თვითმფრინავის კატასტროფის მიზეზი „ადამიანური გადაცდომა გახდა” და მათ „ბოინგ 737“ „უნებლიედ“ ჩამოაგდეს.

„ბოინგ 737“ თეირანის აეროპორტთან 8 იანვარს ჩამოვარდა, რის შედეგადაც ბორტზე 176-ვე მგზავრი დაიღუპა.

# რა ღირს ოქრო საქართველოში — მისი ფასი მსოფლიოში ბოლო შვიდი წლის მაქსიმუმზეა



**ახლო აღმოსავლეთში ვითარების გამწვავების ფონზე მსოფლიო ბირჟებზე ოქროს ფასი ბოლო შვიდი წლის მაქსიმუმზეა.**

Goldman Sachs Group Inc-ის ანალიტიკოსების აზრით, ოქროზე ფასი შესაძლოა, ნავთობის ფასზე მეტად გაიზარდოს. UBS Group AG და ABN Amro Bank NV-ს ანალიტიკოსების აზრით კი, თუ რეგიონში დაძაბულობა შენარჩუნდება, ოქროს ფასმა სამომავლოდ შესაძლოა, 1 600 დოლარსაც გადააჭარბოს.

„ბიზნესპრესნიუსი“ დაინტერესდა თუ რა ღირს ოქრო საქართველოში. ადგილობრივი ფინანსური ინფორმაციის პლატფორმის „აგორა ფინანსების“ ცნობით, გასული წლის იანვართან შედარებით, წელს უმაღლესი ხარისხის ოქროს საშუალო ღირებულებამ 6.60 ლარით მოიმატა. კერძოდ, 999 სინჯის ოქროს ფასი დღეის მდგომარეობით, 115.60 ლარია, მაშინ როცა გასული წლის იანვრის მდგომარეობით, 109 ლარი ღირდა.

რაც შეეხება სხვა სინჯის ოქროებს, პლატფორმის თანახმად, დღეის მდგომარეობით, 375 სინჯის ოქრო 43.39 ლარი ღირს, მაშინ როცა წინა წლის იანვარში მისი საშუალო ფასი — 41 ლარი იყო; 500 სინჯის ფასი — 57.86-ია, 2019 წლის იანვარში კი — 54 იყო; 583 სინჯის გრამი ოქროს ფასი — 67.46 ლარია, 2019 წლის დასაწყისში კი — 64 ლარი ღირდა; 750 სინჯის ღირებულება დღეის მდგომარეობით — 86.79 ლარია, 2019 წლის იანვარში კი მისი ფასი — 82 ლარი იყო; 900 სინჯის ოქროს ფასი 1 გრამზე — 104.15 ლარია, მაშინ როცა გასული წლის დასაწყისში — 98 ღირდა; ხოლო 958 სინჯის ოქრო — 110.86 ლარი ღირს, წინა წლის იანვრის მდგომარეობით კი მისი ფასი — 105 ლარი იყო.

# ავღანეთში, ამერიკელი ჯარისკაცების ავტოკოლონაზე თავდასხმა განხორციელდა

**ავღანეთში, ამერიკელი სამხედროების ავტოკოლონას თავს დაესხნენ. ინფორმაციას ნატო-ს პრესსპიკერი ადასტურებს. ჯერჯერობით ცნობები მხვერპლის შესახებ არ ვრცელდება. ავღანეთის მთავრობის წარმომადგენლის თქმით, ინციდენტი დანდის რეგიონში მოხდა.**

თავდასხმაზე პასუხისმგებლობას „თალიბანი“ იღებს. მათი ცნობით, აფეთქების შედეგად, ადგილზე მყოფი ყველა ამერიკელი ჯარისკაცი დაიღუპა, თუმცა ინფორმაციას ოფიციალური წყაროები არ ადასტურებენ.



# პატრიარქის საშობაო ეპისტოლე

ილია II

„ყოვლადსამღვდელონო მღვდელმთავარნო, ღირსნო მოძღვარნო, დიაკონნო, ბერ-მონოზონნო, ხელისუფალნო, საქართველოს წმინდა მართლმადიდებელი ეკლესიის წევრნო, მკვიდრნო ივერიისა და ჩვენი ქვეყნის საზღვრებს გარეთ მცხოვრებნო თანამემამულენო, მოგმართავთ, ქართველნო, აფხაზნო, ოსნო, ბერძენნო, უკრაინელნო, რუსნო, სომეხნო, ებრაელნო, აზერბაიჯანელნო, უდინნო, იეზიდნო, ქურთნო, ინგუშნო, ჩერქეზნო, ჩეჩენნო, ლეკნო და ყოველნო ერნო!



აჰა, დადგა ჟამი ღვთის განკაცების უდიდესი საიდუმლოსი. დღეს იშვა დამბადებელი, „რომლის მიერაც შეიქმნა ყოველი: მიწიერიც და ზეციერიც; ხილული თუ უხილავი, საყდარნი თუ უფლებანი, მთავრობანი, თუ ხელმწიფებანი“, დღეს იშვა ის, „ვის მიმართ და ვის მიერაც ყოველივე დაიბადა“ (კოლას.1,16).

ამიტომაც ახლა მორწმუნენი გონებით მივისწრაფვით ბეთლემისაკენ, რათა განვიცადოთ 2000 წელზე მეტი ხნის წინ დამდგარი უდიდებულესი ჟამი, როდესაც ამსოფლიური პატივისაგან მოკლებულ, აღთქმული მიწის ერთ ცივ და ბნელ გამოქვაბულში აღესრულა სასწაული, რომლის სადარი სამყაროში არაფერი მომხდარა და არც არასოდეს მოხდება.

მიუწვდომელი, გარეშემოუწერელი, მიუახლებელი ღმერთი განკაცდა, რათა კაცი განღმრთობილიყო; ჭეშმარიტი უფლის მადიდებელი ერის წიაღში, წმინდა დავით მეფის მოდგმაში, იშვა ძე ღვთისა და თვალშეუდგამმა ნათელმა ჩვენთან მარადიულად ყოფნა ინება; უკვდავმა მოკვდაობა, უხრწნელმა ხრწნადობა მიიღო, რათა ჩვენ მოკვდავნი და ხრწნადნი სიკვდილის საკვრელთაგან დავეხსენით.

დღეს ყოველნი მართლმორწმუნენი ქრისტეშობის მახარებელნი ვართ, რადგან ჩვეთან არს ღმერთი! დღეიდან მისი მომძიებელნი ვეზიარებით და უხვად მივიღებთ აქამდე მიუწვდომელ მადლთა სისავსეს – კეთილმსახურებათა ნიჭსა და უნარს და ხილულ და უხილავ სამყაროს შევღაღადებთ:

იხარებდით და აკურთხებდით შემოქმედს ცანი და ქვეყანა, რამეთუ ჩვენთან არს ღმერთი!

იხარებდით და აკურთხებდით უფალსა უფლებათასა ანგელოზნი და ყოველი სულდგმულნი, რამეთუ ჩვენთან არს ღმერთი!

იხარებდით და აკურთხებდით ახალ ადამს მეფენი და მამათმთავარნი, ერნი და ტომნი; აკურთხებდით უფლის ყოველ საქმეს, უგალობდით და განადიდებდით მას უკუნისამდე, რამეთუ ჩვენთან არს ღმერთი!

რომ არა შენი საკვირველი შობა, კაცობრიობას არ ეყოლებოდა მაგალითი უაღმატებულესი სიყვარულისა და მშვიდობისმყოფელისა, ჭეშმარიტი მეფისა, მოძღვრისა და მასწავლებლისა, სახე უზენაესი სიმდაბლისა და თავდადებისა, ერთგულებისა და მეგობრობისა; ხატი ზეციური მამა-ძეობისა.

ჩვენ, ამპარტავნებითა და განდიდების სურვილით შეპყრობილნი, საკუთარ თავს ვერასოდეს ვიპოვიდით, ეგოისტური „მეს“ მბრძანებლობას ვერ გავექცეოდით და არც დავთმობდით.

შენ გვასწავლე, იესო, რომ სიყვარულშია ხსნა, რომ სიმდაბლეშია — სიმაღლე, სიმარტივესა და უბრალოებაში — სიდიადე; მოყვასის მსახურებაში — სიხარული; გაცემაში — შეძენა და დათმენაში — გამარჯვება; რომ მტრის სიყვარულშია სიყვარულის სისრულე და სხვისთვის თავგანწირვაშია საკუთარი სულის პოვნა...

შენი განხორციელებისათვის, მხსნელო, დედამიწაც განემზადა და გიძღვნა ქალწულთა მშვენება, დედათა სიქადული — წმინდა მარიამი.

გიხაროდენ, ურჩეულესო ჭურჭელო, ყოველთა ნათესავთა შორის სანატრელო (ლუკ. 1.48);

გიხაროდენ, დედაო ღვთისა, ევას ცრემლთა აღმხოცო; ცხოვრების ხეო, სიცოცხლის ნაყოფის მომცემო;

გიხაროდენ, ცოცხალო ტაძარო ღვთისაო, ჩვენს ლოცვათა უფლისადმი აღმწევნელო.

უფლის განგებამ ინება, რომ შენი მზრუნველობით ჩვენც ღვთის ერი გავმხდარიყავით საუკუნეთა განმავლობაში მრავალფერ განსაცდელთაგან ვნებულმა მცირე სამწყსომ შენი მფარველობით გაუძლო ათას ქარტეხილს და დარჩა ქრისტეს ერთგული. დღესაც შენ გსასოებს ჩვენი დამაშვრალი ერი, მრავალთაგან მრავალჯერ ნაღალატები და ჯვარცმული, მაგრამ მაინც გაუტეხელი და ღვთის მოიმედე.

ჩვენც, მონანი და მხევალნი შენნი, მოგმართავთ ცისა და ქვეყნის დედოფალს: კვლავაც შეეწიე უძლურებათა ჩვენთა, შეგვავედრე ძესა შენსა და ღმერთსა ჩვენსა, რათა ყოველნი მკვიდრნი იბერიისანი, შეცდომილნი ძენი და ასულნი ჩვენნი, გზასა ჭეშმარიტებისასა შეუდგნენ; ბოროტმზრახველთა, მოშურნეთა და მაჭირვებელთა გულნი ლმობიერ-ჰყავ და დაამშვიდე; დამნაშავეთ სინანული მიეც, საპყრობილეთა შინა მყოფთ — თავისუფლების სიხარული, უსამართლოთ — სამართალი, მშიერთ — პური, შიშველთ — სამოსელი, უპავართ — სარჩო-საბადებელი, კეთილად მუშაკთ — ღირსი სასყიდელი...

ურვათა მრავალთა დამტევნელო, ყოვლადუბიწოო ღვთისმშობელო, ნუგეში-ეც მტირალთ, ყოველივე სასიკეთოდ წარუმართე მადლიერებით ჭირთა დამთმენილთ, ჭაბუკთა და ყრმათა სიმხნე მიჰმადლე და სულიერად განსწავლე, სნეულნი განკურნე, მხცოვანნი შთამომავალთა კეთილდღეობით გაახარე, უცხოეთში მყოფნი თანამემამულენი სამშობლოში მშვიდობით დააბრუნე, იქ დარჩენილნი კი უფლის სადიდებლად და სამშობლოს საკეთილდღეოდ აღვაწე.

განგვიმტკიცე სიყვარული, სასოება და შიში უფლისა, ერთგული მსახურება ეკლესიისა, მამულისა და მოყვასისა. მოგვმადლე გული წმინდა და სული წრფელი, გონება ნათელი და შემეცნების სიღრმე, სხეული ჯანსაღი და უვნებელი. გვაშორე მუცლადღებულ ყრმათა კვლა და თვითმკვლელობები.

ალადგინე, დალოცე და განამტკიცე საზღვარნი საქართველოისანი, და მას შინა მკვიდრნი დაიცევ „შიმშილისაგან, სრვისა, ძრვისა, ცეცხლისა, მახვილისა, ზედა მოსვლისაგან მტერთასა“, სტიქიონთა ვნებისაგან და ყოველი ბოროტი ძალის მანქანებისაგან; დალოცე და განამტკიცე ოჯახები ჩვენი და აკურთხე იგინი შვილთა სიმრავლითა და ნაყოფთა სიუხვითა.

გევედრებით, მეოხ-ეყავ მართლმადიდებლობით აღსრულებულთა ჩვენთა წინაპართა — მეფე-დედოფალთა, კათოლიკოს-პატრიარქთა, სამშობლოს ერთგულთა და თავდადებულთა მონათა და მხევალთა შენთა, მომხსენიებელთა გარეშე დარჩენილთა ყოველთა; გევედრები შორებელთა და მახლობელთათვის, რომელნი შეწევნასა ჩვენსა შემოვედრებულ არიან, რათა ყოველნი შემოქმედმან სავანესა მართალთათვის გამზადებულსა დააწესოს.



არ განგვეშორო, დედაო, არცა ჟამსა მას მეორედ მოსვლისა ძისა შენისასა და ჩვენ მსასოებელთა შენთა, მეოხ გვეყავ წინაშე მისა, რათა მართალთა თანა ვიხარებდეთ და ვადიდებდეთ დამბადებელსა ჩვენსა, ყოველთა შემწყნარებელსა და სიყვარულსა დაუსრულებელსა, მამასა და ძესა და წმინდასა სულსა აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

ბეთლემს შობილო ქრისტე ღმერთო, ამ დიდებულ ღამეს, სულითა და გონებით შენსკენ მოლტოლვილნი, კანდლად გინთებთ ჩვენს ლოცვა-ვედრებასა და ქება-დიდებას; ოქროს, გუნდრუკისა და მურის ნაცვლად ძღვნად მოგართმევთ ჩვენს გულებს, სიყვარულსა და ერთგულებას, კრძალვითა და თაყვანისცემით მოგეგებებით და ვხმობთ:

დიდება შენს მობრძანებას, ყრმაო, მშვიდობის მთავარო! (ეს.9,5)

დიდება შენს გარდამოსვლას, უფალო საბაოთ! (ეს. 37,16)

დიდება შენს მოვლინებას, ადონაი უფალო! (ეზ. 37.3)

გაკურთხებთ და აღგამაღლებთ შენ საუკუნითგან უკუნისამდე და ვაკურთხებთ მშობელსა შენსა, დედათა შორის კურთხეულს (ლუკა 1.42).

და კიდევ ერთხელ შეგთხოვთ, მოჰფინე შენი მშვიდობა, შენი წყალობა, ურწმუნოებით დამძიმებულ მშფოთვარე მსოფლიოს; ავის და კარგის გარჩევის უნარი და სიბრძნე მოგვეც და შენი სასუფევლის მკვიდრნი გაგვხადე.

„ქრისტე იშვების, — ადიდებდეთ! ქრისტე ზეცით, — მიეგებვოდეთ! ქრისტე ქვეყანასა ზედა, — ამაღლდით... კვალად ბნელი დაიხსნების, კვალად ნათელი მოიქცევის... ძველნი წარხდეს, აჰა, იქმნა ყოველივე ახალ“ (გრ. ღვთისმეტყველი),

**გიხაროდეთ, რამეთუ ჩვენთან არს ღმერთი!**

**სიყვარულით თქვენთვის მლოცველი**
**ილია II**
**სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი”**

## გური ოტობაია

# ბალადეფი

### თანურ შარაშხე

ცოფენჯე თუ ცოფერე,
სერი დღაშით გოფერე,
შარაშიაშ გოხოლუს
ღანდა ვედიღობერე
ხირხალიშ დო ჭოკაში;
მორო ინეფ სო გაში?!
შარაშიაშ დოხორეს
დუც კვათუნა ჯოღორეფს,
თანურს კურთა მედინაფ,
შარაშია გედინაფ.

სამარგალოშ მანჯღვერი,
რე ლევანი დადია,
მუმულ თიშო ციონუნს,
მარდის ოგანს კვატია,
კამეშ თიშო მიჩერჩელ:
ჯოლა გილებლათია,
ხეძლვინითი მაკითხანს
გერი შხურ დო თხათია.
ოსურეფქი: დადიაშ
ბურშეფ გილაფხათია.

გურიელი მაკათუ
ჯოღორეფიშ ჯარითუ,
იმერეთშე თემრაზი
მოსუმარენს ჯვარითუ,
რაჭა-ლეჩხუმს რატიან
დირხანს ბარ-ანჯარითუ,
უპატონო შონეშე
პუხუ მუღნა ჭვალითუ,
შარაშია სეტემან
დოღურელე ნჯარითუ.

ორქოშ ჯაჭვით მიკუკირ
წყურგილეფშა ფოხალი,
მოჭკადილ აფ ვარჩხილით
ინგირ, ჯუმი დო ღალი,
თურქის ხარკის ვარზენსი,
სო რე ფაშაშ ოღალი,
ასკერეფშო ხაზირ აფ
ღუმურგილი გოღანი,
ლებიაქი ქაშისდა
ჯგირას ქელატოხანი.

ნარდის მუგუ სატემანს
განარჯიაშ მუხური,
ხურჩა ქელეშუშუ დო
ჭალე — ჯუთაჯუქური.
ფახულანსი თხა ქულანს,
ჭყორი დიშქას ცაფილანს,
მერიქიფე ქოშირუნს
ამარ, მასმა ჩაფულას,
ულა გინობდვათია,
ზოჯუნს კინი დადია.

ღუმუს ჩხვერუნს ხობი დო
ლაიტის ფალუნს აბაშა,
ცხენს ციდულენს თურქიშე
მარტვილ სქუა-ბაბაშა,
ფუთი ხარგანს სანდალცუ
შურიშ გინოლაფაშა,
წენდიხა დო ჩხოროწყუს
მუთულებნა ლაცვაშა.
ულა გინობდვათია,
ზოჯუნს კინი დადია.

გაკვარკვანტუ შარშხე,
მითინ ვაცუნს მოცილი,
ჩხეშა ქუგუ დიფაშა,
ვაურზ კაბა გორცხილი,
სუმარ ელარაგადანს:
აკა, სხული გომწილი,
ორთუმელშა ქეწომდვი
სქანიცალო ხოწილი.
ულა გინობდვათია,
ზოჯუნს კინი დადია.

ძუძუეფი სქიბუთი
დიო ვარე ჯგირ ქილი,
თოლს ჩილამურ გელაფშანს
არგუსოთი ჯირქილი,
წოხლენ კიბირ გეცუმე,
გიბანდალუ ჯირგილი,
გოტახილ რე ნაჭალი,
კაბა მუდგა იფორე,
თელი დღასი ვეციქი,
ცაშათ გეშეხიმფორე.

ცვაწიკვილო ვადუტებ
ოკვანწაფუ ონწეშა,
მორო შური გეშუცუნ
კონკაშა დო კონწეშა,

მოლე რდუ თუ მელე რდუ,
ბიცო ხუჯშა ქელერდუ,
ჯიჯიშ შური შეკურნელ,
საფულეშა გელერთუ,
შარაშხეში სანგაროთ
ბიცო გეგმოხელერდუ.

ჰოდო, გურიშ ეკინათუ,
შარაშხექი ვეგინათუ,
ფირქენს: „ფერსი დოგიცხუნქ
ღურა დღაშა ვეგინათუ“.
ჭყორეფს იღურჯოლუანსუ,
იშირუნო მეკინათუ?!
შარაშიაშ დოხორეს,
დუც კვათუნა ჯოღორეფს.
თანურს კურთა მედინაფ,
შარაშია გედინაფ.

ჰოდო ეთექ დადიას
სარკო დუცხირ შარაშხექ,
დუკაკ უჩა გიორგია,
თის მეძინე ქანაშეფ,
გოხვარჩალუ ბეცეიას,
ითამ გვალო ნანაშ ხექ,
გეშეცუნუ თარ კოჩი
სიაბარა-ჭყანაშე.
თანურს კურთა მედინაფ
შარაშია გედინაფ.

მუშო გოკო სქილადა,
ოსურ დაჩხირ შქაბანცალ,
ხე-ბირგული ომორჩილ,
მარა თინა ვაქანცალ,
დადია თის გიხართალ,
ინათ მონტყორქ ვაგაცალ,
ხვალე ართი — ფინია
გურიჭვილო გაქვაცალ,
თანურს კურთა მედინაფ
შარაშია გედიმაფ.

დო ჩხვინდ ქელაღუბოჯუ,
დო სქუალეფ მუქონჩუ,
სეტემანიშ დოხორი
გუნართინუ უკონჭუ.
ვაუჩქ მუსუ მიორთუ,
მუ ოჭირუ უხონჯუ,
მაზაკვალეფქ ქიფაფუ,
ღია ულუ უმონცჭკუ.
ირფელ ბიცოშ დუდი რე,
ბიცო ღურუშ ჭკუდი რე.

ირკოს ღურა ქუჭიშუ,
მორო ირფელ დოჟღამუ,
გასირ სქუაქ დადიას,
კიდირს მიოგ ოშ ხამუ,
ცვაშ ჯერღვი რე ხარცქილი,
მუს იქ ორქო-ვარჩხილი,
ჯვეშიშ სალამოსეფი
დუდგიმე რე ბარცხილი.
თანურს კურთა მედინაფ,
სარაშია გედინაფ.

### პაპანწყვილი

— გამარჯობა, პაპა სიდო,
— გომორძგუა ცახუჯის!
პაპა დო მუშ დიაკონი
ქეთოხენა ცაცხუშ ჯინს,
ცალ ხუს აბგა გილაბუნა
დო ხურჯინი — ცალ ხუჯის,
ჟირიხოლო ქუნჭირანსი
შარვალიში მახუჭის,
ართო გილეკვენწელუნა,
ართო გილემენძელუნა.

დიაკონი ტვიტვილი რე,
პაპა — გვალო პუტორილი,
სამარგალოშ ქოთომეფი
ძვალამო რე ხუტორილი;
ასე თენას გეძინელი
ბულეკეფი გუდორილი,
უკულ ხოლო შინკაცალი
თუ ყებურით თურთოლირი.



შიკინს ლიკვეფ არეფუნა,
ხასლა დაჯანგარებუნა.

ცახუჯიში ფაჭაჭია,
ჭითა რე დო ხუჭუჭია,
სიდოშ დუცუ ეჩ წანა რე
ოსისმარუ ქუჩუჩია.
ოჯალეშიშ შინა სო რე,
ონატრელი აფნა თხოლო,
გითოხენა ცაცხუშ ჯინს დო
ირიპოტუ ჟირიხოლო.
გოკონ ცხვინდის მიოპონი,
პაპა დო მუშ დიაკონი.

**სიდო**

— სი მუ გიჭირს ბოშკოჩის,
თოლით გორგ დო ბირგულით,
ბრელ გოგურე, ვედიჩალუქ
ანწი საქმე ნირგულით.
გითოღალირ ოკო ორდე,
ლაგვაცალო გილეშე,
დიხას უჩვიგინანდე დო
მეფურინდე ჟილეშე.
ნათქუელი დიგურე:
ჭკვერი თუდონ სქიბუ რე.

მირონიში სუმალას
ცირას მიკუჭკიტონე,
შხვადო შვი დო შხვადო ჭკუმი,
ცუდეს მილეტიტონე.
მეიკირდას ორტყაფშა
ორქო-ვარჩხილ პუტალერი,
ვეწაცუნა, ეკაცუნი,
ქანა შხვაშ რდას დუდალერი.
მეცუმელე მიქ ინჭუნი,
მიდგაქ ღორონთ მიკინჭუნი.

პირჯვარიში წერუას
მინშა ხვამა ქუტურე,
სითინ ქისა ქოძირდა,
გური გეგმუფუტურე.
ქარწყექ, ოსურს გიმიჩანს
ცვაწიკვილი ქომონჯი,
ბული ირო ვეტყაბარე,
ირო ვარე ჩხომონჯი.
ერჩქინდუქუ ართიშა,
ღვინ ისხუნე ღართიშა!

მულირი რე დადიაშა
არქანჯელო ლამბერტი,
მიჩქუ მუსხი რხვილი აფუ
ნამ ღია დო ნამ ფერდი.
რომშა ოცუნაფალო
ბოშეფს კორობუნსია,
ქუცუნუანდ ჩქიმს, მარა
გვალო ბორო პუნსია, —
სიდო ქოღურ ღვირთაფის,
მელე ღალი — ღირთაფის. —

წიმოკინა გოკონდა
პაპას ქუმუხიცონე,
მეტ მუ დიგოგურუა,
ჭიჭე ქეთიკვიცონე.

**ცახუჯი**

— ზუკოლიშე გიმარდუქ,
ვემკიჭკუმე-ვემკიშვე,
ბედნიერი იპიქი,
თექ სი ხოლო გეკიშე, —
ართ ქვარაშე ნახასი,
გუნა არგუნ-კვალასი.

ვითაართი ეშობას
დიაკონი-მესია,

ჯორიცალი ჩვაგაფით
ფერდის ეკილენსია.
სამოხიოს თუდოლე
კარეფ მეკილესია,
მითინს ვაკო თენეფიშ
მირონი დო კვეზია.
ზარს მითინი ვარჩქილე,
რწუმი ეკობარჭყილე.

დიშაყარუ ზღოდი დო
ქუმოცენა თურქეფი,
ნაცას დოღიმინწანა,
ქუდოსქიდუ ურგები,
სანდალეფს უდოხარგანს,
კიდირი დო ხურხეფი,
უკულ წყარეფს მინიფაფ
ჩაფულა დო წურღეფი.
მითინს ვამაძირუაფ
თენერ ხვამა-წირუა.

მარკატელი ღიჭინუნს,
გიმე მოცენს ფრიმული,
ურაგადუ ცახუჯის:
— მუჟამს ეთექ ქიმული,
შურცინცალა ჩეთხინე,
ქიმიკინდე თვინული,
პიტათ ვეგიხუნუა
ნდურია დო წყინული,
მარა ქოთქვი, სო დაშე —
ექექებუქ ცოდაშე. —

გოცანცალანს ცახუჯი,
თუმა გეძაგვარებუ,
კინოხონერ ტყურეფქი
სოთინ ვეწახვარებუ.
ასე ნასეს ღაჭუნა,
თუმა ითხითხარებუ,
ოცულეში იჭვარუ,
ღია გითმიტყარებუ,
სუმშა ქეთიხვალუანს,
ხელეფს ქეთირტყალუანს.

**ცახუჯი**

— ვითაართიშ ჭოხოლე
აღშარება შინერშო?!

**სიდო**

— უჯინ, ცათე ფურსინას,
ხოლო ღურუ შქინერსო?! —
გორსიმონდუ ცახუჯი,
გიძღისი რე ხვილირი,
სიდოშ სიტყვა ახურენს:
ცვილუა დო ცვილირი.
მუჭოთ ღირღი ჩოგანსი,
უფი გინმასოფანსი.

**ცახუჯი**

— ცოდათ ვორექ ხარგელი,
მუს მოხვარუ ფულუა,
შქაბანიას ენვანთხუქ,
მორო ძგა-ძგათ ულუა,
ჯიმა ურემქ გოჭყანჭყუ,
ბზუმინითი ოშეფი,
ქეწირაცეს თურქეთშა
ჯიმასქუა ბოშეფი.
მის მუ ოკო ვაბრალე,
მა, ნოსა დო ძაბრალე,

ჯარგვალიას ვოჯანუთ,
კიდას მერცხილ ტაბაკის,
დისერუ დო ხეთელე
ჰავა იჭყანს ხაბარკის,
რქუმოლუნა ვირთხეფი
ტამაცელი ხაბაკის,
მინორთელი თოლეფი
ქიმნიდვანა კაკაბის,
ჟირიხოლო მობირძლუ,
ნორჩალ მაფუ ოქირცხუ.

ძუძუეფი ნოსაში
ეთმანჯღვილუ ნიკისუ,
ჩუპას მიკომჭაბუანს
მიხორხუანს მინკისუ,
ხუჯის მოკორტყაპილი
ძაბრა ქოგუ ქიმქისუ,
უქერქუა ფართო სერს
მინ თესი დო მინ თისუ.
იშხუარებ ჟირხოლო,
უკულ ქუმურს თირ ხოლო.

ოხვამეშა ვამალნე,
არქა, ვემენტანია,
ნოსა უკვე ხირთქინუნს,
ძაბრაშ ვამონ ტანია:
ვაგაშქურნას, ვამაფუქ
მოჯგირე დო ნათესე,
ზისხირ დიდაშ მიშაბდგუ,
ვადოზურდა ათეშე!
ა — მუნერეფს კვაკვალანს,
ჟი მინობჯან ტარკალას.

პუტორუნა ართიანს,
ირიათო ნირზენა,
მოძიკინელ ქვარეფი
სოთინ ვადაქვირსენა,
ჭიჭე თოლსი ქიმკობდვა,
ლურსი ვამაღირსენა:
— გეგნოლია სი კახმა! —
მეტო ვამათხირსენა
ართიანი საყალოთ,
ცვინგიშ მიკატახალო,

გიბკურცხინენ სქუასი
დიდა დუშქვიდუაფუ,
კუნთხუს ქიკნოკუმინუნს,
თოკი ქუმუსქუაფუ:
— სქან ცოროფაქ ბლოლუა,
ანწი მუჭო მირთაფე?! —
იშენ ეთმაღვარკალუ,
იშენ ქუვოლვირთაფე.
უკულ მუნჭირ კითეფი
დო შურ გუვოყვიტაფე.

სიდო ბორქომს ონჯანსი,
დუჩოქია ჩე რინელს,
ეგებ შეინდასია,
ლურუშ კარშა მერინელს.
მიაძინუ მაჟირა,
მახუთა დო მაშქვითა,
ბრელი ცოფე თენეფშე
ჟითუოლო ნაშქვიდა.
ქიმლაკილანს ოხვამეს,
მონკა ცოდაშ ნოხამეფს.

ეშობასი თურქეფი
სუკიშ დუდშა გეკულა,
ეწოცუნა თავადი
ჭილაია ხეკულა:
— ვითოჟირი ზოჯით დო
ემერ მიხვილუნია, —
ფურსინა რე თენათ დო
ნინას გიხვილუნია:
„ხოკილო დო ლაჭილო,
ვითოშუმ რე საჭირო! —

ჭკორი გაეფებულ რე,
მახაჩქალ თუ პაპა რდაშ, —
თოლეფს ორიჟინუანს
ტკიბირიში მაფართას, —
თენა ხოლო ქუჯინით,
მუშმანგურეფშ აკათაშ,
აქ შქირენათ დოლურუ,
მალას პიჯიქ გაკარდაშ.
შიდო, ბრელში დამმარდუქ,
მუჟამშ ქონით განმართუქ. —

ვითოსუმი პაპალუს,
გოლიორილ ოხვამეს
ჰავა მილექაქალუ,
გინაჯინე ყურსალეფს,
ნამთინ შურსი ვაქალუნს,
ჟიმოლეშე მუნაფა
რანწკას ქიმიტაკვალუ,
უკულ თისხის იქანჩუ
ცა დო დიხა დიპანჯუ.

გიმეიან ჟი მოურს
დო ჟიშენი — თუდოლე,
ცუნგა იშენ ცუნგა რდუ,
ცვერე — თოჭუ-უთოლე,
ჩხე წყარეფი ეფუნა,
გვერ იჩამინ კუდოლე,
ბაბაცი რე კაკლარი
გურშა ეშმახუტოლე.
ირფელ ინწყუ რქიათუ,
უჩა-ქვერსემიათუ.

## შქაკათა

ცხენს გეხენან თეში ჭკუმნა
ოჭიშ დონაბადელეფი,
ეჩი რენა, ეჩი ხოლო
საზოგადოს კათელეფი.

ცხენს გეხენან თეში შუნა,
ნადუდელა დარანასი,
ბაშლაყეფი კინაკირნა,
ვაცხოვრენა ჰარამასი.

ფიჩორიშე ამბროსი რე
ანგურას ჭუნს, გელენა რე,
ნინას ჭიჭეს გევჭოფანსი,
ოსურეფიშ ცელენა რე.

ოტობარეფ ბრელი რენა,
ჟითუოლო რჩინელეფი,
თე რინაშე თი რინაშა
ფართას გინოჯინელეფი.

ქორე ნოჩო თაკალანძე,
ჩხვინდი უგუ აგაფაშა,
ოსურიშე ვეგმოურსუ
სერიშ გინოგაგაფაშა.

ქირთბაია ქაკათუ დო,
საჯაია ქაკათუ დო,
ალფენიძე ქაკათუ დო,
ცხენშე ვეგმურს აკა თუდო.

ქორე ჯაკა საქანია,
ვარყეფიში მათაგანა,
ყაზაყეფი იგორანან
ნტერსი თიშით ათაგანა.

ნაბაკიშე ყარა გოხოლ,
ინა გვარო თორია რე,
დუკვარტუეს თავადეფქინ,
დურცხუ ერიმორიალე.

ქორე ლაუ ბერაია
წარი ნორტყო დოლუზილი,
უჩქუ სერით ედგინა დო
გოფშა თუთაშ მოლუზინი.

თაგილონშე აბლოთია
დო წვირალი სოფია რე,
მურზაყანსუ ლერსეფითუ
ქეთუბაცუ სოთ ფია რე.

ბარღეფიშე ლადმერი რე,
გოგოხია, ვაფშუ შხვეფი,
სუმარეფი უონტკალეთ
წყარით აფუ ნაშუმეფი.

ვათხოზათუნ შორი მაფნა,
ხოლო ბრელი მიკითვალე,
ხოლო ბრელშა თე ეჩიშე
ხუჯი ხუჯშა მიკიდვალე.

მარა განგებ ქეშებტეთი
ბიკ ფეტელა ფიჩორიშე,
დიაკონ დუ, გეფერშალუ,
ქვარეფქ დიშქვეს ჩიჩონიშე.

ჟირ ბალანაქ ანგინათუ
დაშქვიდუ დო ხვამულენსუ,
მუმულიეფს ცვილუნსუ დო
ოროიათ ჩხანულენსუ.

„მედიატორ ვორექია“,
გვერსი გორდის უმაცალენს,
თიცალეფიშ თქუალა უჩქ
ჩუანს ლუმუს ამარკვალენს.

მასმაშა რე მისოფუნა
ოქუმიში აკანიშა,
ფარფალია ემუხვარსი
ქუმუჭვირთაფ ჟაკანიშა.

ენეფს სქუა ართი ცუნა,
ოკო მალას დიცვილასი,
ბრელშე ბრელი მოჯგირეშე
რენა ეკოჯიკვილასი.

ვეხარჭალუ სენ დო ჭირქა
გამარიგეშ მოზოჯინსი,
ხეს მითინი ვეწოილანს,
მი გალირსენს დოზოჯინსი.

ვარე ცხენიშ წყარალუა,
ვართ ტაბაკიშ გიმოლალა,
მუდა შურო გუტიბი და
უკულ გაცი გარიგალა.

ჰოდო, თაში ქიმაკითხანს
ჟირშა — გიშნაგორა კათა,
ქუდუჭყაფუ ოლაფარეს
ლოლუეფსი ჭვათა-ჭვათა.

ფარფალია თავადიში
ოზეს ნოლა გიფაჩინე,
სუმი კოჩი ვადაბალუ
კარშე ამბე ქიმაჩინე.

მინორთელ რე ხონილცალო
ოზე დოლოთ ბარხატელი,
ოჭმარეშე ღიორია
შვერთიათი კარხართელი.

მასარს სანძო ქიგნაცოთეს,
ალაგეშე გეგნაბიჯგეს,
ოჭმარე რე, ჩერქეზეფით
ტობა ლეტას მალახვინჯგეს.

ბიქტორ წოხლე ეწოცუნსუ,
ვითოჩხორი მაცალასუ,
ოგვაჯეშე ქოთომეფი
კვერცხის ალაკარკალენსუ.

იზუმინნა ჩხოუეფი,
დო თხალეფი პეტელანა,
კისერს ეწიგინძორენა
ნახაფულსუ ვეტალენა

ბიქტორს წკონდას გითმაშინე
მუ ღოლ ლუწკაიასუნი,
ნაოსურშა ულაშენი
მუში გვირა ცირასუნი.

უჩქუ კიდირ მუჭო იმონჭკ
ჟერჟელია ლაკვაჩხირით,
სოიშახ თუმა ეურსია
ლურედავა ბაბა ჩქიმით.

მარა ტვიტვილ ფეტელასი
ქურსით კარი გემნუნჯამუ,
ქეკუხუნუ ყებურიშა,
ეშმაკ ხატშა გეგნუჩამუ.

შხაშხი დუშხურშხინუაფუ,
ხუმლა ცვალიშ შური ინთხანს,
ფიცხინიათ ხალირ ლუმუს
სუნელამო მიოტილვანს.

მენძელქ ხონარ გეკილუდა
სინჯას ოკო გერიგასი,
პიჯშე ლეზვაშ მაძეწკვალი
ნპულანს შური თერიგსი.

ჰოდო, ათაშ მოდირიკუ,
ნორცხვათ კიდირხალირ მუმა,
კათას წოხლე ეწოცუნსუ,
აკას ვეკოულუ ხუმა.

ქიმერთესი ოშქაშეშა
დო თექ ეკიპუროსკუანს,
ბირგულს თეში ქიდაშქვანსუ
ითამ მეხის უროზგუანს.

აბარწასი ეწოჯორგნა
ტოზორო დო ჩინჩანეფი,
უჩათ გონწერილეფი დო,
ოჭიშ ბიგაშ ჯინჯამეფი.

ხონარ მითინს ვეკმოულუ,
მუდა წეს ძუ თენერგანი,
სენქი ქიდიხარჭალუდა
ოკო ნაღდას გერიგანი.

დო ფეტელა უქუდელე
ეშაჩოქუ ფართო ოზეს,
ნამუთ კერძ დო მოჯგირექი
ჟითუოლო კუჩხით დოზეს.

ეშაჩოქუ დო მეურსუ
უთქუალუ გურსუ ლიმა,
აბა, ნამუ გერიებუ
ლურლა თუ შურიდგუმა.

ვაგარზინუ ნამდგარენს დო
მემიჩქ თენა გელენა რე,
ნინას მარცხას გევჭოფანსი,
ვარა ართო ჟღელენა რე.

ქელაჩოქუ დო მასმაქი
ქიდიკუსუ ხოლო მეტას,
მოლირიკუ ბირგული დო
ქანჩვლაფუ ჭითა ლეტას.

დუდიშ დოკინ ეფი ვარე,
გვალო სარკო — დოჩოქინი,
მარა ცოდა მუჟამს მორძუ
სო რე კოჩიშ გოჯოგინი?!

მოგონ ყარა თორია რდუ
მამშვათ ლეტას ენიქოსუნ,
უკულ რაწკას გიაცუნუ
ჩოქინითუ კოჩი კოსუ.

ქიდოსქიდუ ართიქ ზოხო
ჩინგალ ნოჩო თაკალანძექ,
გურს თენა უღ: „გიფსირათინ
თავრე პიტათ ვედიბქანცექ!“

ჟიშე მეურს ხეშ წკიტონი,
კუმინითი ღვანწკიშ ტყაბარ,
ბრელი ლეჩქვის იხვატუნსუ,
დინუ ბორჯი ეკანთხაფარ.

დო გოღვარანს მარგუ მუმა:
— ვავა, სქუა, ჩქიმშენია,
თელო ლურა ვაუჯგუნო,
შარას თაში მიფშენია.

დიდა ხელეფს დუდშა ინჭანს,
მინ რწიანსუ, მინი ღვარანს,
მარა ამბე ეცაცილი
არძას გიმე მოტყაბარას.

ასე მენძელქ ეჩხოლოსი
ხე ხუჯეფსუ ვეგედუდა,
არძა მარდით ვემწადგინ დო
ნდურათ ხეშე გეწენტუდა,

უკოჩანეთ ქუდოსქიდუ
მითაჟამიშ კოჩიშობასი,
სახელ თეში გეწენტებუ
ითამ ჰავა ოჭოფასი.

მენძელს დღასი ვალნე თიშე,
ვართ სუმარი მინაკათუ,
დღას ონგარშა ვემნართინე,
დღას ხელეფი ვეკნაკართუ.

მიჯალაგუ ირდიხაშე,
მიმანდარუ თარჩიაშე,
მიქვერსემუ ჯარალა დო
ტომბა ამბეშ გარჩიაშე.

ვემნართინე დიარაშა,
ვემნართინე ონგარიშა,
ვემნართინე რქალირი დო
ვემნართინე ბონ კარიშა.

დო მოღვარანს უნჩაშ კოჩი,
მორწიანა ოსურეფი,
ჟი ბალანეფ სხარსხალანა
დო ჭკირჭკინნა ოსხირეფი.

დო ქანგარნე ფეტელასით,
მინ დიაკონ, მინ ფერშალსი,
უჩქუ ანწი ოდიარეს
ვეშაზაკვე ჟი ეშმალსი.

## ელარჯი

თე ელარჯი ცირაცალო
ართო ოლვანდაია რე,
თე ელარჯი დიდა ბჟაში
ოსხუნური დაია რე.

ოცვალესი ცვალი გეძუ
თექი გეწიწინაფილი,
ჯარ უბადო ოსურეფი,
კარს გეზიკინაფილი.

ისარსალუ ხათეცი დო
საფარსაკო მოჭყუდუ რე,
კირზა ხამუშ ხაჭარუათ
კაჭალეშა გოჩხუტურე.

თე ცვალეფი იზირუდეს
ზენეფსი დო ლაკადეფსი,
მუჟამს მიშეზელუკონი
ვემირჩქინანდ ნაკვათეფსი.

ხეშქაგურით ჩამილი რე
ხუშხუშელა ჯიმუეფი,
ვემერკებუ კიონტი დო
მართუცალი ჯიმუეფი.

სინჯაქ ცირას ქემათირუ
ზინდუნსუ დო კვარკვაზინსუ,
კარეფ ოლილნაფუანა
ციცარელი კარკაცისუ.

სუმარეფი დირაბადნა
გინძას თოლირ ტაბაკისუ.
სარწყეეფი სირჩიათი
ვეკნასკიდნა ბაბაცისუ.

კამეშიში მარწვენი რე
ხამუეფით ოკვათალი,
დოი სოთინ ვადოჭყაფე
ჩანგალი დო მობადალი.

რე ლაბაჩი, რე ფანდური,
ხინტური დო ხანტურეფი,
ღვინსუ გეკურიგებუნა
გოწონერი ნანდურეფი.

ღვინი ირფელს ასწორენსუ
ლალა მოსუმალირითუ,
ითამ რდასუ ზღვაში ქვიშა,
პუხუ ეშაფალირითუ.

ქონი აფნა სუმალირი
ჩუანიშა დინახლეშე,
ბოლოს ხალირ ნახვაწეფი
მუშით გეშაპახვნა ეშე.

ინათ ღვინი ტოლბაშიქი
კიბირიშა გინძგილაფუ,
მინი ყამას მერულაფე
დო დიოდე მინც გილაბუ.

გეშაფურინ ორჩხეშედა,
უკულ მუთუნს ვადაკირე,
წორო რენა ჭაკ დო ვარყა,
ნანდულ რინა ათაქი რე.

რე ბირა დო მოძახება,
რე ბირა დო ბაბანუა,
ანწი მის რე დინაფუნი
ღართიშ ეკოხაბანუა.

ანწ ჭუმენშა ვეგიშინე
მოზინდუა ჩხეშეფიში,
თაშ გურენა ართიანსი
გოშინუა ჯვეშეფიში

დო შხვა ხოლო უთქუალუ,
დო შხვა ხოლო უნარტებუ,
დო შხვა ხოლო ულორონთე,
უფენდე დო უმარდებუ.

ეშმულუნა ელარჯი დო
ახაზრენა თოფურეფსუ,
მარწვინიში მაბუნალო
ბიწკი გერდას ოქურესუ.

ირფელ მუში აკანს რდასუ
ხურგი რე თუ უხურგე რე,
საზოგადო ძახინ რე თუ
ოდა რე თუ მუხურ გერე.

ირფელ მუში ოკაკლეს დას
ქვიჯა რე თუ კაჭაბე რე,
ტარკალეთი მირულედან
ცირა რე დო ყვაჯა ბერე.

ბერე სქუა ლაზიში დო
ცირა სქუა მარგალიში,
დინა სქუა შონიში დო
ცოროფათი გვარგვალიში.

ინა ანწი ედიდარებ,
ინა ანწი გომპულანსუ,
საქორთუოშ ოლალეფსუ
შუროთ ვეთიმონკულანსუ.

საქორთუო ეფერ მუ რე,
ვარა თიში ტყვიჟი-ტყვაჟი,
ის ოლალ აფ შუმერიში,
ის ოლალ აფ პლანეტაში.

ინა ირდუ ელარჯცალო,
ინა ხურხიშ ჯაშქვიდუ რე,
ინას კუჩხი ვეთადვინე,
ცოროფათი მაშქვიდუ რე.

იშა შური ვემდელინე,
იშა შური ვეპუტორე,
ინა ჩქინი გოჭყაფა რე,
ინა ჩქინი ეფუთო რე.

ირდიხაშე იჯინე დო
ირდიხასი ენაჯინე,
ინა ჩქინი შურდგუმა რე,
ინა ჩქინი ელარჯი რე.

## რედაქციისაგან:

**გაზეთი „ილორი“ აგრძელებს ამონარიდების ბეჭდვას 2018 წელს გამოცემული წიგნიდან „საქართველოს ეკონომიკის გამოწვევები და სტრატეგია“. წიგნის ავტორია ჩვენი დროის ერთ-ერთი თვალსაჩინო სახელმწიფო მოღვაწე, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ბატონი ნოდარ ჭითანავა.**

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №445-466

# ინვესტორი ტოვებს ქვეყანას და ინვესტირებული თანხა ნამატთან ერთად გაედინება საქართველოდან



ნოდარ ჭითანავა

**ყველა ნიშნით და მახასიათებლებით, საგარეო ვალი ძვირადღირებული ფინანსური რესურსია და გადასახადის გადამხდელების, მათ შორის მომავალი თაობების ფისკალურ ტვირთს წარმოადგენს**

საერთაშორისო პროექტების ინიცირება და შემდგომ მათი ხორცშესხმა, იშვიათ გამონაკლისთა შორის, ერთ-ერთი შორსგამიზნული, გონივრული და რაციონალური განჭვრეტაა, რომელმაც შექმნა საქართველოსთვის თვისებრივად ახალი გეოეკონომიკური გარემო, განსაზღვრა ეკონომიკის ინტეგრაციულ პროცესებში ჩართვის ინტენსივობა, საინვესტიციო მიმზიდველობა, ქვეყნის ბუნებრივ-საწარმოო პირობების კომპლექსურად გამოყენების და მსოფლიოს ძლიერი ეკონომიკის ქვეყნებთან განუყრელად დაკავშირების პერსპექტივა. ფაქტობრივად, ამით საქართველომ შეიძინა ქვეყნის ტერიტორიაზე საერთაშორისო პროექტების განხორციელების კოორდინაციის და საერთაშორისო კაპიტალის ფორმირებაში მონაწილე სუბიექტის ფუნქცია. ეს იმის მაუწყებელია, რომ გეოეკონომიკა გადამწყვეტ როლს შეასრულებს ქვეყნის გლობალურ პროცესებთან ადაპტირებისთვის და ამ მხრივ რესურსები ამოწურული სულაც არ არის.

**ძველი აბრეშუმის გზისთვის ახალი სიცოცხლის შთაბერვა ახალ სამომავლო შესაძლებლობებს ხსნის და მისი განშტოებათა ნაკადი მრავალი მიმართულებით შეიძლება განვითარდეს.**

გარე სამყაროსთან ადაპტირების და საერთაშორისო ურთიერთობების განმტკიცების სფეროში გამორჩეული მნიშვნელობისაა ევროკავშირთან საქართველოს დაახლოება. ეს ხდებოდა საექსპორტო და ენერგორესურსების მომწოდებელ ყველაზე დიდ პარტნიორთან — რუსეთთან ურთიერთობის შენარჩუნების მცდელობის პარალელურად. განსხვავებული მენტალობის და ფასეულობების მქონე ევროკავშირსა და რუსეთთან ერთდროულად კეთილმეზობლური დამოკიდებულების დეკლარირებას ყოველთვის თანაბრად დადებითი საპასუხო რეაქცია არ ახლდა.

1997 წელს დაიწყო ეროვნული კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის გრძელი პროცესი. 1999 წელს საქართველო გახდა ევროპის საბჭოსა (Council of Europe) და მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის (WTO) წევრი. ორი წლის შემდგომ დაარსდა ევროკავშირთან თანამშრომლობის საბჭო, რომელიც პასუხისმგებელი იყო ურთიერთობის განხილვაზე და ჰარმონიზაციისთვის რეკომენდაციების შემუშავებაზე.

განსაკუთრებულად მასშტაბური ცვლილებების აუცილებლობა და ვნებათაღელვა მოჰყვა საქართველოს ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში (ვმო) გაწევრიანებას.

ვმო-ში გაწევრიანების პროცესში გაუქმდა ექსპორტ-იმპორტის კვოტირება (შენარჩუნდა მხოლოდ მეტად შეზღუდული ნომენკლატურის სპეციფიკურ საქონელზე ექსპორტის ან იმპორტის აკრძალვა). იგივე შეეხო ლიცენზირებას, გაუქმდა საგარეო სავაჭრო კონტრაქტების რეგისტრაციის მოთხოვნა, შემცირდა აქციზური საქონლის ჩამონათვალი და სააქციზო განაკვეთები, იმპორტზე ტარიფის განაკვეთები დაწესდა საბაჟო ღირებულების 12%, 5% და 0%-ის ოდენობით. ექსპორტის ხელშეწყობის მიზნით საქართველოში გაუქმდა საბაჟო გადასახადი ექსპორტზე, დაწესდა რიგი შეღავათები საწარმოო დანიშნულების საქონლის იმპორტზე. იმპორტის წახალისებამ ნაწილობრივ შეაფერხა ადგილობრივი მრეწველობის და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების გაფართოება. ვმო-ში საქართველოს წევრობამ პოლიტიკური მუხტიც შეიძინა და რუსეთთან ურთიერთობები დაძაბა.

ნებისმიერ ქვეყანას, მათ შორის, საქართველოს, არ გააჩნია იმდენი მატერიალური და ფინანსური რესურსი, რომ დამოუკიდებლად განახორციელოს სახელმწიფოთაშორისი მნიშვნელობის მქონე გლობალური პროექტები. სხვა ქვეყნების დაუხმარებლად, საქართველოს არც შიდა მოხმარების უზრუნველსაყოფი ფინანსური რესურსი აღმოაჩნდა. ფაქტობრივად, წლების განმავლობაში სახელმწიფო სისტემაში დამკვიდრებული კორუფცია და ფინანსურ საშემსრულებლო დისციპლინაზე კონტროლის მოშლა განაპირობებდა ქვეყნის შიგნით არსებული წყაროებიდან მხოლოდ მცირე შემოსავლების მობილიზებას, რომლის ხარჯვითი ნაწილი დანიშნულებამდეც სრულად ვერ აღწევდა. ეს სასიცოცხლოდ უარყოფით ზეგავლენას ახდენდა სახელმწიფოს სიძლიერეზე, მის მიერ სოციალური ფუნქციების შესრულებაზე, რის შედეგადაც იზრდებოდა საერთო დაძაბულობა და სიღარიბე. ქვეყანა მხოლოდ დონორი ორგანიზაციებისაგან მიღებული დახმარებებით საზრდოობდა. უკვე 1996 წელს, შემოსავლების წილმა მთლიან შიდა პროდუქტში 13.5%-ს მიაღწია. 1996 წლის დამტკიცებული სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები შეადგენდა სულ 568.856 ათას ლარს, ხარჯები კი — 818,017 ათას ლარს. შემდგომში მისი წილი პერიოდულად მერყეობდა, თუმცა ხანგრძლივად არ გამოსულა საგანგაშო ნიშნულიდან. მუდმივი საბიუჯეტო დეფიციტის შევსება საგარეო ვალის და დონორ ქვეყნებზე დამოკიდებულების ზრდის ხარჯზე ხორციელდებოდა.

მსოფლიო ინტეგრაციულ პროცესებში ქვეყნებს შორის დამოკიდებულების ტენდენციების (თავისებურებების) ერთ-ერთი მახასიათებელი სწორედ საგარეო ვალის დინამიკაა. მისი გამოყენების ფორმა და მოცულობა გვიჩვენებს თუ რამდენადაა მიბმული ქვეყანა უცხო კაპიტალზე.

ზოგადად, ფინანსური ნაკადები, რომელიც საგარეო ვალის ზრდით და უცხოეთიდან ფულადი ტრანსფერების ფორმით შემოედინება, არანაკლებ ზეგავლენას ახდენს ეკონომიკაზე, ვიდრე პირდაპირი უცხოური ინვესტიციები. საგარეო ვალის შეფასებისას გასათვალისწინებელია, რომ ის სახელმწიფო ვალის შემადგენელია. ეს უკანასკნელი საშინაო ვალსაც მოიცავს. საგარეო ვალი მთავრობისა და საქართველოს ეროვნული ბანკის საგარეო ვალისგან შესდგება. საშინაო ვალს კი მიაკუთვნებენ სახაზინო და სხვა სახელმწიფო ფასიან ქაღალდებს. სახელმწიფო ვალის სიდიდის განსაზღვრისთვის, ვალის ბიუჯეტის შემოსავლებთან, ექსპორტთან და მშპ-სთან პროცენტული თანაფარდობის ინდიკატორები გამოიყენება. ამ ინდიკატორებს შორის ყველაზე მნიშვნელოვანი მაინც ვალის ნომინალურ მშპ-სთან თანაფარდობის მაჩვენებელია.

საქართველოს მთლიანმა საგარეო სახელმწიფო ვალმა 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სულ 14,4 მლრდ. აშშ დოლარი შეადგინა, მათ შორის, სახელმწიფო საგარეო ვალი 11,9 მლრდ. აშშ დოლარია, ხოლო საშინაო ვალი — 2, 5 მლრდ აშშ დოლარი. მთლიან სახელმწიფო ვალში საგარეო ვალის მოცულობა 78,7 %-ია, ხოლო საშინაო ვალი — 21,3 %.

ყველა ნიშნით და მახასიათებლებით, საგარეო ვალი ძვირადღირებული ფინანსური რესურსია და გადასახადის გადამხდელების, მათ შორის მომავალი თაობების ფისკალურ ტვირთს წარმოადგენს.

სახელმწიფო ვალის მიმართ დამოკიდებულება არაერთგვაროვანია. უმეტესწილად, ამ პოზიციას ოპონენტები იყენებენ ნეგატიური ფონის გამოსაკვეთად. ფაქტობრივადაც, არის ამაში შეშფოთების საფუძველი. მიუხედავად იმისა, რომ ვალი ნებისმიერი ქვეყნისთვის სასიცოცხლოდ აუცილებელი ფინანსური რესურსია და მისით ყველაზე ძლიერი ქვეყნებიც კი სარგებლობენ, განსაზღვრული ზღვარის შემდეგ, ვალის აღება ყველასთვის სახიფათოთ ითვლება.

რა თქმა უნდა, ეკონომიკის ზრდას თან ახლავს ინტეგრაციული კავშირების გაფართოების პროცესი, რაც საჭიროებისას ვალის აღებასაც გულისხმობს. მაგრამ ამ დროს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ვალის მიზნობრივად გამოყენება. პირველ რიგში, როგორც წესი, იგი უნდა ხმარდებოდეს ეკონომიკურ ზრდას, ე.ი. კვლავწარმოების გაფართოებას.

მსოფლიო ინტეგრაციულ პროცესებში ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკის მონაწილეობის დონეს უფრო სრულფასოვნად განსაზღვრავს უცხოური ინვესტიციების მოცულობა, მათი მიზნობრივი ხასიათი. საქართველოში, დამოუკიდებლობის დეკლარირებიდან დღემდის, ქვეყნის გადარჩენისა და ეკონომიკის ზრდის უალტერნატივო წყაროდ სწორედ უცხოური ინვესტიციების მოზიდვა სახელდება.

ეკონომისტთა ნაწილს, სრულიად საფუძვლიანად, მიაჩნია, რომ ძირითადი ბარიერი, რომელიც ხელს უშლიდა საქართველოს ეკონომიკის ზრდას, იყო ინვესტიციების დაბანდება მცირე მოცულობით და არასახარბიელო საინვესტიციო გარემო. გარდაქმნების პირველ ეტაპზე, ეთნოპოლიტიკური კონფლიქტები, კორუფციის მაღალი დონე, არასტაბილური ვითარება, ჩრდილოვანი ეკონომიკის არსებობა მართლაც აფერხებდა უცხოური კაპიტალის შემოდინებას საქართველოს ეკონომიკაში. 1990-იან წლებში, 1997 წლამდე, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, შეიძლება ითქვას, უმნიშვნელო იყო. მათზე ზუსტი სტატისტიკური მონაცემებიც არ მოიპოვება. 1997 წლიდან კი, დიდი საერთაშორისო ენერგეტიკული პროექტების, ბაქო-სუფსის ნავთობსადენის მშენებლობის დაწყების შემდეგ, 1997-98 წლებში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების წილმა შეადგინა მშპ-ს 6.9 — 7.3%, მაგრამ შემდგომ ინვესტიციების წილი 2 პროცენტამდე დაეცა. ადამიანების მოტაცება, მეწარმეთა ტერორი და დაკნინება, საგადასახადო და მაკონტროლებელი ინსტიტუტების თავაწყვეტილი თარეში საინვესტიციო გარემოს ფაქტობრივად ანადგურებდა.

2003 წლიდან ინვესტიციების მოცულობა მკვეთრად გაიზარდა და მან მშპ-ს 8.4% შეადგინა. ეს განპირობებული იყო ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლობით.

2006 წელს უცხოურმა ინვესტიციებმა 449,8 აშშ დოლარი შეადგინა, 2016 წელს — 1298,4 მლნ დოლარი. 2006-2015 წლებში პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა 12,6 მლრდ დოლარს გადააჭარბა, რაც საშუალოდ წლიურ 1,26 მლრდ დოლარს უდრის. ეს არ არის მაღალი მაჩვენებელი, მითუმეტეს, დაგროვების შიდა წყაროების სიმცირის ფონზე. 2011-2015 წლებში უცხოური ინვესტიციების მოცულობა მცირედით გაიზარდა და 7,9 მლრდ დოლარს გაუტოლდა. თუმცა აქედან, ტრანსპორტსა და კავშირგაბმულობაში ჩაიდო 1,4 მლრდ დოლარი (18%), მრეწველობაში — 880 მლნ დოლარი (11%), ენერგეტიკაში — 942 მლნ დოლარი (12%), მშენებლობაში — 568 მლნ დოლარი (7%), სოფლის მეურნეობაში — 70 მლნ დოლარი (1%). როგორც ჩანს, ინვესტიციების საერთო მოცულობის მხოლოდ 12%-ია დაბანდებული მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში, მაშინ, როდესაც ეკონომიკის კრიზისიდან გამოსვლის დაჩქარება ამ დარგების მაღალი ტემპებით განვითარებაზეა დამოკიდებული.

**უცხოური ინვესტიციების დაბანდებაში სხვა, ფრიად მნიშვნელოვანი არასასიკეთო გარემოებებიც უნდა შევნიშნოთ. კერძოდ, მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელ ათწლეულში ყოველწლიურად მილიარდზე მეტი მოცულობის ინვესტიციების შემოდინება ფიქსირდება, სამუშაო ადგილების შექმნაზე (დასაქმებაზე), პროდუქციის გაიაფებაზე და მოსახლეობის კეთილდღეობაზე დადებითად არ ასახულა. ინვესტიციების ძირითადი ნაწილი უძრავი ქონების შეძენაში იხარჯება. მათი ყიდვის ფასი რეალურ საერთაშორისო ფასზე ბევრად დაბალია. ამასთან, ინვესტორებს უპირატესად სტრატეგიული, სწრაფი უკუგების, უკონკურენტო ობიექტები აინტერესებთ. 100%-იანი მოგებით რამდენიმე წლიანი ექსპლუატაციისა და დარიცხული ამორტიზაციის სახით ინვესტირებული თანხის სრულად ამოღების შემდეგ, ობიექტი იყიდება საწყის ღირებულებაზე ბევრად მაღალი ფასით. ინვესტორი ტოვებს ქვეყანას და ინვესტირებული თანხა ნამატთან ერთად გაედინება საქართველოდან. ქვეყნიდან ინვესტორის გასვლას ახლავს ლარის დევალვაციის პროცესი. ამდენად, უცხოური ინვესტიციებისგან მხოლოდ სასიკეთო მოლოდინი და ეკონომიკის ზრდის უალტერნატივო წყაროდ წარმოდგენა გადაჭარბებული, არაკვალიფიციური შეფასებაა.**

ცალკეულ შემთხვევაში, დაბალპროცენტიანი, გრძელვადიანი უცხოური კრედიტის მოზიდვას და საჭირო მიმართულებით, მაპროფილებელ დარგში მის დაბანდებას ბევრად მეტი დადებითი შედეგი შეიძლება ჰქონდეს.

**ინვესტიციების მოზიდვა სწორად გააზრებულ ეკონომიკურ მიდგომას მოითხოვს, იგი არა მხოლოდ სამეურნეო საკითხი, არამედ სახელმწიფოს სტრატეგიის შემადგენელი ელემენტია. ამიტომ, პრინციპული მნიშვნელობა აქვს იმას, თუ რაზე იქნება ყურადღება გამახვილებული: ინვესტიციების მოცულობაზე (როგორც დღეს) თუ ინვესტიციების ეფექტიანობასა და მის როლზე ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში. ინვესტიცია იქ უნდა ჩაიდოს, სადაც არა მხოლოდ კონკრეტული სამეურნეო ამოცანა წყდება, არამედ იქ, სადაც მნიშვნელოვანი იქნება შექმნილი სიმძლავრეების როლი ეკონომიკურ სტაბილიზაციაში. უცხოური ინვესტიციების მოზიდვის პერსპექტიულ ფორმებად უნდა მივიჩნიოთ ერთობლივი საწარმოების შექმნა, თავისუფალი ზონების, ლიზინგის და სხვა ფორმების გამოყენება. პირველ რიგში, მიზანშეწონილია მათი დაბანდება ახალი საწარმოების აშენებისა და არსებულის გადაიარაღებისთვის, რომელთა პროდუქცია საექსპორტო და შიდა ბაზრის მომხმარებელთა მოთხოვნების დაკმაყოფილებას მოემსახურება.**

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

## მამულიშვილნო! კოლხ-იბერნო!

**ნოდარ ჭითანავას ყველანი კარგად ვიცნობთ. ბევრმა ალბათ ისიც იცით, რომ ბატონი ნოდარი გახლავთ უძლიერესი ეკონომისტი და ფინანსისტი! მართალია, ის საბჭოთა პერიოდში მაღალჩინოსანი გახლდათ, მაგრამ დიდმა ერისკაცმა და საქართველოს პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე საქართველოს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მინისტრად დანიშნა! მერე... მერე იყო ის ავადმოსაგონარი პუტჩი!**

მოკლედ, არ მინდა სიტყვა განზე გამექცეს, ამიტომ პირდაპირ და მიუკიბმოუკიბავად ვიტყვი: სამარცხვინოა, რომ ზვიად გამსახურდიას ეროვნული ხელისუფლების დამხობის შემდეგ ამ ჭეშმარიტი მამულიშვილის და ეროვნულ-სახელმწიფოებრივად ორიენტირებული უწესიერესი პროფესიონალის ჩვენი სამშობლოს სასიკეთოდ გამოყენება აზრად არ მოსვლია კორდონებს გარედან მართულ არც-ერთ მარიონეტულ ხელისუფლება-მთავრობას! სწორედ ამიტომ, ნამდვილ პატრიოტებს დაბეჯითებით მოგიწოდებთ: კატეგორიულად მოსთხოვოთ არსებულ ხელისუფლება-მთავრობას, რომ სანამ ჯერ კიდევ საბოლოოდ არაა ეს ქვეყანა დაღუპული — მაქსიმალურად იქნას გამოყენებული ბატონი ნოდარ ჭითანავას დიდი ნიჭი, ცოდნა და გამოცდილება!..

**პატივისცემით,**

**ზურაბ ქვარაცხელია**

**სამეგრელო-ზემო სვანეთის მუნიციპალიტეტებისთვისი სპორტული მიღწევებით 2019 წელი საინტერესო და დასამახსოვრებელი აღმოჩნდა. რეგიონს მსოფლიო, ევროპის და საქართველოს ჩემპიონები და პრიზიორები ჰყავს, და აქვს 134 მედალი ამ სპორტული ღონისძიებებიდან.**

# სამეგრელო-ზემო სვანეთის სპორტსმენების 134 მედალი



## ზუგდიდი

**ზუგდიდელმა სპორტსმენებმა მუნიციპალიტეტს რეგიონის მასშტაბით 72 მედალი მოუპოვეს.**

### ძალოსნობა

ძალოსანმა გურამ ვეკუამ ჭაბუკ ძალოსანთა ევროპის ჩემპიონატზე სამი ოქროს მედალი მიიღო. სპორტსმენმა საქართველოს რეკორდი 2, ხოლო ევროპის 5 კილოგრამით გააუმჯობესა. საქართველოს ძალოსანთა პირველობაზე მან მესამე ადგილი დაიკავა.

15 წლამდე ძალოსანთა პირად-გუნდურ ჩემპიონატზე გოგა ჯაჯვანი ქვეყნის ჩემპიონი გახდა. 17 წლამდელთა შეჯიბრზე ბრინჯაოს სინჯის მედალი მოიპოვა. ამავე შეჯიბრზე დიმიტრი აბრალავამ მეორე, ლევან იარდავამ კი მესამე პოზიცია დაიკავა.

მეორე ადგილის მფლობელი გახდა ნათია გადელია. ის უფრო ადრე საქართველოს ჩემპიონიც გახდა უფროსებს შორის.

23 წლამდელთა ევროპის ჩემპიონატზე, ზუგდიდელმა ძალოსანმა გიორგი ჩხეიძე ორი ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. ერთი აკვრაში, ერთი კიდევ ორჭიდის ჯამში.

მისმა ბიძაშვილმა გოგა ჩხეიძემ იუნიორთა და 23 წლამდელთა შორის ევროპის ჩემპიონატზე ერთი ვერცხლის და ორი ბრინჯაოს მედალი დაიმსახურა. ამავე წელს, მხოლოდ უფრო ადრე, მან ევროპის ჩემპიონატზე ვერცხლის და ბრინჯაოს მედლებიც მოიპოვა.

გოგა ჩხეიძის ძმა, ირაკლი ჩხეიძე მსოფლიო ჩემპიონი გახდა. ძალოსანი ერთი ვერცხლის და ორი ოქროს მედლის მფლობელი გახდა. ის ასევე არის აპრილში გამართული ევროპის ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორი.

ძალოსნობაში საქართველოს ჩემპიონია მანუჩარ გოგოხია და ნიკოლოზ ესართია. დიმა აბრალავამ ქვეყნის პირველობაზე მეორე ადგილი დაიკავა ჭაბუკთა შორის, ლევან ივარდავამ კი მესამე. ბრინჯაო მოიპოვეს საქართველოს ჩემპიონატზე იკა ჭიჭინაძემ, ნიკა ჭიჭინაძემ და დავით ლუკავამ. ნიკა ჭიჭინაძემ ქვეყნის 17 წლამდელთა პირველობაზე ასევე მესამე ადგილი დაიკავა. იკა ჭიჭინაძემ კი მეორე.

ამავე შეჯიბრზე მანუჩარ გოგოხია ოქროს მედალოსანი გახდა.

ზუგდიდელ ძალოსანთა გუნდმა საქართველოს 17 წლამდელთა ჩემპიონატზე მეორე ადგილი დაიკავა.

### ჭადრაკი

ჭაბუკებს შორის საქართველოს ჩემპიონია გიორგი კუხალეიშვილი. ამავე შეჯიბრზე მაია ბექვაიამ და ნიკოლოზ შამათავამ ვერცხლის სინჯის მედლები მოიპოვეს. მეგი ცობეხიამ და საბა ჭითანავამ ბრინჯაო. ასევე, ზუგდიდელი მოჭადრაკე გიორგი ნაყოფია სწრაფ ჭადრაკში ქვეყნის ჩემპიონი გახდა.

### კრივი

თათია ბუკიამ ევროპის ჩემპიონატზე მეორე ადგილი დაიკავა ჭაბუკთა შორის. მესამე ადგილის მფლობელები გახდნენ ელენე თოდუა და მარიამ სამელია.

ახალგაზრდებში საქართველოს ჩემპიონია ჯუმა ჯაიანი. ქვეყნის ვიცე ჩემპიონი კი ჯონი ჭკადუა. მესამე ადგილი კი გივი თოდუამ, საბა ახალაიამ და პაპუნა სიჭინავამ დაიკავეს.

### მძლეოსნობა

ორი ზუგდიდელი მძლეოსანი საქართველოს ჩემპიონი გახდა — ბელა ჭკადუა და დავით ლუკავა.

### ჭიდაობა

თავისუფალ ჭიდაობაში ქვეყნის პირველობაზე, ზუგდიდელი ნიკოლოზ ლაგვილავა ბრინჯაოს მედლის მფლობელია.

### სამბო

ბესარიონ ბერულავამ, სამბოში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატზე, უფროსებს შორის ბრინჯაო მოიპოვა.

იპოლიტე აქუბარდია საქართველოს ჩემპიონი გახდა ჭაბუკებს შორის. დავით ჭანტურიამ კი მესამე ადგილი დაიკავა.

### ძიუდო

ზუგდიდელი გიორგი პაპოშვილი საქართველოს ჩემპიონია. გიორგი ჩიქოვანი კი ევროპის თასის ბრინჯაოს პრიზიორი.

### კარატე

კარატე დოში ევროპის ჩემპიონატის ვერცხლის მედალოსანია საბა მანია.

საქართველოს ჩემპიონები ჭაბუკებს შორის გახდნენ — ძმები უტა და ვალიკო ფონიავები, გიგი ალანია, სალომე კაკუტია, ნიკა კონჯარია, ალექსანდრე ფიფია და ილია გაბრავა.

### კიკბოქსინგი

კიკბოქსიორი დავით ქირია სამგზის მსოფლიო ჩემპიონია.

სპორტის ამავე სახეობაში, ახალგაზრდებს შორის ქვეყნის პირველობაზე გაიმარჯვეს — ირაკლი ჯგუშიამ, ლუკა ჩარგაზიამ, ამირან ნაჭყებიამ, თემურ ჭეჟიამ, გიგა სიჭინავამ, ნიკა ბერაიამ და ნიკა ბიგვავამ.

### მკლავჭიდი

ზუგდიდელი მკლავჭიდელი დავით სამუშია სამგზის მსოფლიო ჩემპიონია. ის მიმდინარე წელს ასევე გახდა საქართველოს ორგზის გამარჯვებული.

## ხობი

**ხობის მუნიციპალიტეტს წელს, სხვადასხვა სინჯის 15 მედალი აქვს.**

### ჭიდაობა

ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავე ნუგზარ წურწუმიამ მსოფლიო ჩემპიონატზე ოქროს მედალი მოიპოვა. 55 კილოგრამ წონით კატეგორიაში მოასპარეზე სპორტსმენმა საქართველოს 12-წლიანი პაუზის შემდეგ მოუტანა ოქროს სინჯის მედალი. ის ასევე ევროპის ორგზის ჩემპიონია. იანვარში კი საქართველოს ჩემპიონიც გახდა.

### კრივი

ანა ხუნჯუა კრივში ევროპის ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორია 22 წლამდელთა შორის.

სპორტის ამავე სახეობაში, ჭაბუკთა შორის, ევროპის ჩემპიონის ტიტული მოიპოვა დემურ ქაჯაიამ.

ქვეყნის ახალგაზრდულ ჩემპიონატზე რევაზ ჩხეიძე საქართველოს ჩემპიონი გახდა. გიორგი ახალაიამ კი მესამე ადგილი დაიკავა.

### მკლავჭიდი

ხობს მიმდინარე წელს მკლავჭიდში ოთხი მსოფლიო ჩემპიონი ჰყავს. დათუნა ჯიშკარიანი 21 წლამდელთა შორის. გულად ბუკია იგივე ასაკობრივ კატეგორიაში, საბა დანელია და საბა ლატარია 15 წლამდელთა შორის მსოფლიო ჩემპიონატზე.

რაც შეეხება გოგა დანელიას, ის მსოფლიო ჩემპიონატის ვერცხლის მედალოსანი გახდა 18 წლამდელთა შორის მკლავჭიდში.

ანრი ბუკია კი 21 წლამდელთა შორის ევროპის ჩემპიონია.

გიგა კოდუა ბრინჯაოს პრიზიორი 21 წლამდელთა შორის.

გოჩა სიჭინავამ ევროპის ჩემპიონატზე, დიდებს შორის ბრინჯაო მოიპოვა.

## ფოთი

**ფოთის მუნიციპალიტეტს მიმდინარე წელს 21 სხვადასხვა სინჯის მედალი აქვს, საქართველოს, ევროპის თუ მსოფლიო ჩემპიონატზე.**

### სამბო

სამბისტმა ელიზბარ თურქიამ ტაშკენტში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატზე ჭაბუკთა შორის, ოქროს მედალი მოიპოვა. სპორტსმენტი ჭაბუკთა შორის ევროპის ჩემპიონატზე ვერცხლის მედალოსანიც გახდა.

გივი ნადარეიშვილი კი სამბოში, უფროსებს შორის ბრინჯაოს პრიზიორია.

ვიტალი ქაქუთიამ, სამბოში გამართულ ევროპის ჩემპიონატზე ჭაბუკთა შორის ვერცხლის მედალი მოიპოვა.

### კრივი

მოკრივე გიორგი საჯაია ევროპის ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორია.

გიორგი მანჯავიძემ საქართველოს ჩემპიონატზე, უფროსი ასაკის სპორტსმენთა შორის პირველი ადგილი დაიკავა.

ქვეყნის პირველობაზე ახალგაზრდებს შორის, ირაკლი ჯანელიძემ და საბა ტყებუჩავამ ოქროს მედლები მოიპოვეს.

გიორგი საჯაია ვერცხლის, რომან წურწუმია და აკაკი გვასალია კი ბრინჯაოს სინჯის მფლობელები გახდნენ.

### ხელბურთი

საქართველოს ჩემპიონები გახდნენ ფოთის ხელბურთის გოგონათა გუნდის — „ოქროს ვერძის" ორი, სხვადასხვა ასაკობრივი კატეგორიის სპორტსმენები.

ამავე კულუბის ბიჭმა ხელბურთელებმა ქვეყნის პირველობაზე ბრინჯაო მოიპოვეს.

### ბოდიბილდინგი

ფოთელი ბოდიბილდერი დავით მურადოვი ქვეყნის ჩემპიონია 20 წლამდე ასაკობრივ კატეგორიაში.

რაც შეეხება სპორტის სხვა სახეობებს:

უშუ-კუნგფუფუში სოფიო აფხაზავა ოქროს მედალოსანია.

13 წლის მოჭადრაკე ელენე წონწნავა საქართველოს ახალგაზრდული ჩემპიონატის გამარჯვებული გახდა.

ამავე შეჯიბრზე დავით გულუამ, ძალისმიერი სპორტის სახეობაში — ამოწევა, მსოფლიო ჩემპიონატზე ოქრო დაიმსახურა.

ძალოსანი ლევან გორგოძე ორჭიდის ჯამი მსოფლიო ჩემპიონი გახდა.

აკაკი ჯგუბურიამ, ძალისმიერი სპორტის სახეობა წოლჭიმში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატზე ბრინჯაოს მედალი მოიპოვა.

ფოთს კანოე კაიაკში საქართველოს ჩემპიონი, ლუკა დობორჯგინიძე ჰყავს მიმდინარე წელს.

## აბაშა

**აბაშას ამ წელს ორი მედალი აქვს.**

**აბაშის მუნიციპალიტეტს 23 წლამდელთა შორის ევროპის ჩემპიონი ჰყავს. მარიამ ჭანტურიამ რუსეთის ქალაქ იჟევსკში ოქროს მედალი მოიპოვა. ის ასევე გახდა მიმდინარე წელს ბრინჯაოს პრიზიორი და საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებს ერთი მედალი შესძინა.**

## მესტია

მესტიის მუნიციპალიტეტს სპორტსმენებმა 12 მედალი მოუტანეს.

მესტიელი მოკრივე ლაშა გურგულიანი 26 მაისს ეგვიპტეში, მსოფლიოს ჩემპიონის ქამრის მფლობელი გახდა.

ადგილობრივმა ძიუდოისტმა ლუხუმ ჩხვიმიანი მსოფლიო ჩემპიონის ტიტული მოიპოვა.

აკაკი ჯაფარიძე, ძიუდოში საქართველოს ბრინჯაოს პრიზიორია და ევროპის ჩემპიონატის ვერცხლის მედლის მფლობელი.

დავით გირგვლიანი საქართველოს ჩემპიონი გახდა სამბოში და ევროპის ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორი.

მიხეილ ჯაფარიძე- საქართველოს ჩემპიონატის ვერცხლის მედალი მოიპოვა სამბოში.

ირაკლი არღვლიანი საქართველოს ჩემპიონი გახდა თხილამურებით შეჯიბრში უფროსი ასაკის სპორტსმენებს შორის.

მოთხილამურე მიხეილ ჩართოლანი ქვეყნის პირველობის გამარჯვებულია საშუალო ასაკობრივ კატეგორიაში.

ასევე, საქართველოს ჩემპიონი გახდა მარიამ ნავერიანი, იგივე ასაკობრივ კატეგორიაში ქალთა შორის.

მოთხილამურე გიორგი გულედანი ქვეყნის პირველობის გამარჯვებულია უმცროსებს შორის.

მარიამ ჯაფარიძე კი იმავე ასაკობრივ კატეგორიაში საქართველოს ჩემპიონი.

## სენაკი

**სენაკელმა სპორტსმენებმა წელს ოთხი მედალი დაიმსახურეს.**

სენაკის მცხოვრები ლუკა წულეისკირი წელს ევროპის ვიცე ჩემპიონი გახდა კრივში.

ამასთან, ადგილობრივმა გიორგი კუპრეიშვილმა კრივში გამართულ საქართველოს ჩემპიონატზე პირველი ადგილი მოიპოვა და ოქროს მედალოსანი გახდა.

საქართველოს ახალგაზრდულ ჩემპიონატზე, მოკრივე ლადო ქარჩავამ და გიორგი არეშიძემ ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს.

## მარტვილი

**მარტვილს ამ წელს სხვადასხვა სინჯის რვა მედალი აქვს.**

ტაეკვონდოში სამი ადგილობრივი სპორტსმენი საქართველოს ჩემპიონი გახდა — ბარბარე დანელია, ემირ ბერულავა, მამელ თოფურია და ჯაბა ლაჭავა.

ამას გარდა, უშუ სანდაში ქვეყნის პირველობა ნიკა ბაღიშვილმა, პაატა ფუტკარაიამ და ლუკა პაპავამ მოიპოვეს.

ნიკა ბაღიშვილი გახდა საქართველოს ჩემპიონი კიკბოქსინგშიც.

მარტვილელი მანანა მიქაძე კი საქართველოს ჩემპიონია მძლეოსნობაში (ბირთვის კვრაში).

სამეგრელო-ზემო სვანეთის მუნიციპალიტეტებს, საქართველოს, მსოფლიო და ევროპის ჩემპიონების და პრიზიორების გარდა, სხვადასხვა საერთაშორისო შეჯიბრის გამარჯვებული თუ ვერცხლის და ბრინჯაოს მედალოსნები ჰყავს.

**ნინო თოლორაია**























# გური ოტობაიას შემოქმედების დიდი აღიარება



**2019 წლის 13 დეკემბერს სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში მისი რექტორის, პოლიტოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ ზურაბ ხონელიძისა და ამავე უნივერსიტეტის თანამშრომლის, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ იური პაპასქუას ინიციატივით გაიმართა შემოქმედებითი საღამო თემაზე: „ცნობიერების ნაკადი გური ოტობაიას ნაწარმოებებში“.**

ასე იუწყებოდა გემოვნებით გაფორმებული აფიშა, მაგრამ თავისი არსით ეს არ იყო ვიწრო სპეცალიზაციით ჩატარებული ღონისძიება, რომელიც თითქოსდა XX საუკუნის რევოლუციური ლიტერატურული მეთოდის, „ცნობიერების ნაკადის“, სტილისტიკაზე მსჯელობით უნდა შემოფარგლულიყო მხოლოდ. ეს შეხვედრა გახლდათ შვიდ ათეულ წელიწადს მიტანებული გური ოტობაიას შემოქმედების შემაჯამებელი პირველი სერიოზული შეკრება მის ცხოვრებაში. ამ ღონიძიებაზე მოვიდნენ გური ოტობაიას თაობელი კოლეგები: **ნომადი ბართაია, ზაურ კალანდია, პაატა ნაცვლიშვილი, ტიტე მოსია, ვახტანგ ხარჩილავა, ზაურ მოლაშხია, გია ხუბუა, ბესო ლაგვილავა, ზაურ ნაჭყებია**... ახლო მეგობრები: **როსტომ შამუგია, ავთანდილ არაბული, გიორგი ფარულავა**, მამა-შვილი **ზურაბაშვილები — ზურაბ** და **დავით, ლევან მებონია, დანიელ გახარია, მერაბ ნაჭყებია, ვაჟა კაპანაძე, მიხეილ ჯიბუტი, მერაბ ჩუხუა, ნუგზარ ანთელავა, მანანა სოტკილავა, მურმან კვარაცხელია, იური მაკალათია, ირანდა კალანდაძე, თამაზ ხუბუა, დავით სართანია, ნუგზარ ტიბუა,** სხვანი და სხვანი.

ღონისძიება მიჰყავდა ფილოლოგს, გამომცემლობა „რაე“-ს დამფუძნებელს, მშვენიერ ქალბატონ **მზია ხაჩიძეს.**

შეხვედრა მუსიკალურ-ვიზუალურად გააფორმა გური ოტობაიას ვაჟიშვილმა, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტმა, კომპოზიტორმა **კოკა მარგალმა** (ფეტელავა).

გური ოტობაიას შემოქმედება შთამბეჭდავად წარმოადგინეს ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორებმა, პროფესორებმა:

**ნანა კუციამ** (რომანი „სიცოცხლემისჯილი“). მან ყურადღება გაამახვილა მწერლის თვითმყოფად ხელწერაზე. რომ იგი ზედმიწევნით დახვეწილი სტილით ეგრევე მოქმედების შუაგულში გადაისვრის გმირებს და გხიბლავს წარუშლელი ადამიანური დრამებით;

**მარინა ტურავამ** ისაუბრა (რომანი „როკი“) ძალადობის წინააღმდეგ მიძღვნილი ამ ნაწარმოების თავისებურებებზე, რომ **როკი ოდიშელიას** ნაწარმოების გმირი (პროტოტიპი **შაქრო ჭითანავა**) გასაოცარი გამძლეობით თრგუნავს ადამიანების გასასრესად აღძრულ სახელმწიფო მანქანას.

**სოსო სიგუამ** ჩვეული პროფესიონალიზმით წარმოაჩინა XX საუკუნის რევოლუციური ლიტერატურული მეთოდის — „ცნობიერების ნაკადის“ არსი და ამ ჭრილში საინტერესოდ წარმოაჩინა გური ოტობაიას ბელეტრისტული პალიტრა.

გური ოტობაიას პუბლიცისტურ ხელწერას გამოეხმაურნენ პოლიტოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **იგორ კვესელავა,** ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი **იური პაპასქუა**, საღამოს სტუმარი, ძუძუმტე **ოთარ ხუფენია**, გური ოტობაიას მეუღლე, რეჟისორი **ნანა ხუფენია**, ნომინანტის თანაკურსელ-თანასოფლელი **მანანა სოტკილავა,** კომპოზიტორი, ვაჟიშვილი, **კოკა მარგალი** (ფეტელავა).

გური ოტობაიას მეგრული ლექსების ავტორისეულ თუ **კობა ჭუმბურიძის** თარგმანებს პერმანენტულად კითხულობდნენ — ახალგაზრდა მეცნიერი, **გიორგი უსანეფაშვილი**, თეატრალური უნივერსიტეტის სტუდენტი, ახმეტელის თეატრის მსახიობი, **მალხაზ მიქავა** თუ სკოლის მოსწავლე, **დენის ზალდატანიშვილი**.

წლების განმავლობაში გური ოტობაიას სიტყვით და საქმით ღვაწლი სათანადოდ დაუფასა მშობელმა ხალხმა:

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა **ჯემალ გამახარიამ** გულში ჩამწვდომი სიტყვით მიმართა სტუმარს და აფხაზურ-ქართული ურთიერთობის ნორმალიზაციაში გაწეული ამაგისთვის გადასცა უმაღლესი ჯილდო — საპატიო სიგელი.

საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის თავმჯდომარემ, პოეტმა **მაყვალა გონაშვილმა** ტერენტი გრანელის პრემიით აღნიშნა გური ოტობაიას თვითმყოფადი პოეზია.

რაც შეეხება სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის, ბატონ **ზურაბ ხონელიძის** სტუმრისადმი მიმართვა მეტად ამაღელვებელი გამოდგა დამსწრე საზოგადოებისათვის, განსაკუთრებით ყველასგან მოულოდნელი იყო გური ოტობაიას უნივერსიტეტის საპატიო დოქტორად არჩევა.

მხცოვანი სახელმწიფო მოღვაწისა და მეცნიერის, თავად სახუმის უნივერსიტეტის საპატიო დოქტორის, ბატონ **ნოდარ ჭითანავას** მიერ სათანადო რეგალიებით შემოსილმა გური ოტობაიამ, მღელვარებისაგან წინასწარ დაწერილი სიტყვის წაკითხვა ვერაფრით შეძლო. მან მადლობა გადაუხადა ყველას — თითოეულ იქ მყოფს თუ მიზეზთა გამო ვინც ღონისძიებაზე მოსვლა ვერ მოახერხა.

დასასრულ, გური ოტობაიამ იუმორით დაასრულა თავისი გამოსვლა:

ერთ პიროვნებას, რომელსაც ხოტბას ასხამდნენ სადღეგრძელოში, სამადლობელი სიტყვა ამნაირად დაუმთავრებია:

— ძმებო და მეგობრებო, ის კი არ მიკვირს ამდენს რომ მაქებდით და მადიდებდით, არამედ — მეც რომ თავს გიქნევდით ამის გამო.

**მოამზადა ეკა ნასყიდაშვილმა**





















# ლესალეს არქეოლოგიური მემკვიდრეობა





**წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ჯგალის ადმინისტრაციულ ერთეულში, ლესალეს უბანში, სოფლის ჩრდილო - დასავლეთ მხარეს, მაღალ ბორცვზე შემორჩენილია გვიანი შუასაკუნეების (XV-XVI) ციხე-სიმაგრე, რომელიც ადგილობრივ მოსახლეობაში „ჯიხას“ სახელითაა ცნობილი. ლესალეს ჯიხაზე ცნობები ისტორიულ წყაროებში შემორჩენილი არაა.**

აღნიშნული ნაგებობა წარმოადგენს საფორტიფიკაციო — თავდაცვითი ხასიათის კომპლექსს და აგებულია სტრატეგიულად გამორჩეულ ადგილას, გამოკვეთილ მაღალ ბორცვზე, რომელიც ახლო მდებარე სივრცის უმაღლესი წერტილია, აქედან კარგად ჩანს ჭანისწყლის ხეობა და ციხისკენ მიმავალი ყველა გზა. ციხის გეგმა, ძირითადად იმ ბორცვის კონფიგურაციას იმეორებს, რომელზედაც მდებარეობს. ციხის კუთხეები მომრგვალებულია, მხოლოდ ჩრდილო — დასავლეთით იქმნება სწორი კუთხე. ციხის გალავნის კედლები ნაგებია კირის დუღაბით, ადგილობრივი წარმოშობის, სხვადასხვა ზომის დამუშავებული ქვით. შესასვლელი კარიბჭე გალავნის ჩრდილოეთ ნაწილშია მოწყობილი, რომლის სამხრეთის და ჩრდილოეთის მხარეს კედლებში გაჭრილია თაღოვანი გასასვლელები. გალავნის აღმოსავლეთ ნაწილში მოთავსებულია სწორკუთხა დარბაზი, რომლისგან შემორჩენილია მხოლოდ აღმოსავლეთის და სამხრეთის კედლები. ორივე კედელში დატანებულია წყვილი, გარეთ შევიწროებული არქიტავრული სარკმელები. სამხრეთ კედელში ასევე გაჭრილია რამდენიმე სათოფური. გალავნის დასავლეთი და სამხრეთი კედლები ფრაგმენტულადაა შემორჩენილი. ციხის შიგნით მიწის დონე საკმაოდ მაღალია, დაახლოებით 1,5-2 მ., სადაც ამოსულია ეკალ-ბარდები და დიდი ზომის ხეები.

ლესალეს ჯიხასთან ახლოს, სამხრეთით, 1 კმ.-ს დაშორებით მდებარე ელიფსური ფორმის ბორცვზე, ჩრდილოეთიდან სამხრეთის მიმართულებით ფიქსირდება, კიდევ ერთი, დაახლოებით 500 მეტრის წყვეტილი სიგრძის კედლის ნაშთები. კარგად ჩანს კედლის დაახლოებით 100 მეტრიანი მონაკვეთი. აქ ადგილობრივი მოსახლეობის მიერ ხშირია სხვადასხვა არქელოგიური არტეფაქტების (კერამიკა, ლითონის ნაწარმი და სხვ.) აღმოჩენის ფაქტები.

2019 წელს, აქ მცირე მაშტაბის არქეოლოგიური საძიებო — სადაზვერვო სამუშაოები შეასრულა თსუ და იენის უნივერსიტეტის ერთობლივმა ექსპედიციამ (ხელმძღვანელი: პროფ. ზვ. კვიციანი და ანიგრეტ ლუნინგ პლოტკე). ირკვევა, რომ ძეგლი შედგება „დედაციხის“ (აკროპოლისი) და ქვედა ციხის კომპლექსისგან. იკვეთება, ძველი წელთაღრიცხვის მესამე საუკუნიდან ახალი წელთაღრიცხვის მეექვსე საუკუნემდე (?), 4 ჰა გაშენებული ვრცელი ნაქალაქარის ნიშნები. აქ გამოვლენილ იქნა მეტად საინტერსო სხვადასხვა პერიოდის მასალები (ელინისტური ხანის საკულტო-სარიტუალო მოედანი, რომაული, ადრებიზანტიური (ლაზიკის (ეგრისის) სამეფო) ხანის და სხვ). აღსანიშნავია, რომ ამ ობიექტების სიახლოვეს დაფიქსირდა გვიან ბრინჯაოს, ელინისტური, გვიან ანტიკური-ადრებიზანტიური და შუასაუკუნეების პერიოდის სამაროვანი, თუ ცალკეული სამარხები.

ცალკე აღნიშვნის ღირსია ლესალეს ჯიხის გარშემო არსებულ ორ პარალელურ ბორცვზე დაფიქსირებული არქეოლოგიური არტეფაქტები. ერთი „ესკიდა-ს“, ხოლო მეორე „ნაოხვამუს“ სახელითაა ცნობილი.

ამდენად, ლესალეში წარმოდგენილია კულტურული მემკვიდრეობის ნიშნის მქონე ქრონოლოგიურად და ტიპოლოგიურად მრავალფეროვანი კომპლექსური ობიექტი (იმდენად მრავალფეროვანი, რომ შესაძლებელია მისი სამართლებლივი მდგომარეობა განისაზღვროს არქეოლოგიური ნაკრძალის სტატუსით), რომელსაც შეუძლია სრულიად ახალი სიტყვა თქვას ჩვენი ქვეყნის ისტორიაში.

მოამზადა
**ლაშა ჯიქიამ**

# ჩხოროწყუს ისტორია



**გაზეთ „ცნობის ფურცლის“ 1899 წლის 30 სექტემბრის ნომერში გამოქვეყნებულ წერილში თავისებურად ახსნილია ჩხოროწყუს სახელწოდება. „იქ სადაც თავადი ნიკო დადიანი ცხოვრობს, ერთ ადგილას ახლო-მახლო გამოდის ცხრა წყარო“, ცხრა მეგრულად „ჩხოროს“ ნიშნავს, წყარო კი „წყუ“-ს, ანუ „ჩხოროწყუ“.**

ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მობინადრე უძველესმა ადამიანმა თანმიმდევრულად განვლო თითქმის ყველა საფეხური, რაც მსოფლიო ისტორიაშია ცნობილი. შორეული წინაპრის საცხოვრისი აღმოჩენილია „ყალიჩონა“-ს და ლეწურწუმეს გამოქვაბულებში. ნაპოვნია პირწამახული ქვები, სოფელ თაიაში ნაპოვნია ტიპიური ქვის ორმხრივ დამუშავებული ხელცული. II ჭოლის ტერიტორიაზე ხელნაჯახი. დასახელებული ქვის იარაღები პალეოლითის და ნეოლითის ხანისაა. სოფელ ოჩხომურში მდ. ოჩხომური ქვედა მარჯვენა ტერასების ზოლში შემთხვევით აღმოჩნდა გვიან-ბრინჯაო და ადრე-რკინის ხანის კოლხური ბრინჯაოს ნაკეთობათა განძი 140-მდე ბრინჯაოს ნივთით. განძი თარიღდება ძვ. წთ. აღ. I ათასწლეული დასაწყისით, რომელიც გამოიკვლია სიმონ ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელმძღვანელები ელგუჯა გოგაძე და ჯონი აფაქიძე).

სოფელ ჭოღაში 1972 წელს პროფესორ დავით ხახუტაიშვილის მეთაურობით დადასტურდა ქურა-სახელოსნოს ნაშთების, რკინის იარაღების, საშენი მასალების, რკინის მადანის, ნაღვენთების და წიდების არსებობა, რომლებიც ქრონოლოგიურად ძვ. წთ. აღ. VIII-IV საუკუნეებით თარიღდება.

ანტიკური ხანის კოლხეთის მატერიალური კულტურის ისტორიაში ერთ-ერთი ძირითადი წყარო სამარხთა ინვენტარია. აღსანიშნავია, დერგისებრი ფორმის დასაკრძალავი ურნები ს. ნაკიანიდან, რომელშიც მიცვალებულის ნეშტს კრემაციის შემდეგ ინახავდნენ. ლეახალეს უბანში ადამიანის ჩონჩხთან ერთად აღმოჩნდა მდიდარი მასალა: ბრინჯაოს სამაჯურები, სეგმენტური იარაღები, ოქროსა და ვერცხლის ყელსაბამები და ბეჭდები. არქეოლოგიური გამოკვლევებით დასტურდება ადრეანტიკური ხანის ნამოსახლარი, მათ შორის აღმოჩენილია უცხოური მასალებიც, ნაჯაგუს (გარახის) ციხის ქვემოთ, მდ. ოჩხომურის მარჯვენა ნაპირზე. განსაკუთრებით მთაგორიან ადგილებში მობინადრე მოსახლეობასთან უცხოელი ვაჭრები აღწევდნენ პატარა ნავების მეშვეობით, მდინარეების ოჩხომურისა და ხობისწყლის გავლით. არქანჯელო ლამბერტი „სამეგრელოს აღწერაში“ წერს — „ტეხურას მოსდევს ხოფი (ხობისწყალი), ეს მდინარე მეტად მდიდარია ნაირნაირი თევზებით და ნავებით სავალია“.

მუხურისა და თაიას ტერიტორიაზე გადმოცემით, გადიოდა ე.წ. „პომპიაში შარა“ ანუ „პომპეუსის გზა“, რომელიც დაკავშირებულია პომპეუსის ლაშქრობასთან ძვ. წთ. აღ. 65 წელს. ადვილი შესაძლებელია პომპეუსი ტეხურის ან ხობისწყლის ხეობით დასახლებულ ტერიტორიაზე გავლით მიდიოდა, მეორე ვერსიის მიხედვით პომპეუსი ეგრისის გაქცეულ მეფეს ხსენებული ბილიკით მისდევდა, ეს კი მეტყველებს, რომ ძვ. წთ. აღ-თვის „პომპეის ბილიკი“ ადგილობრივი მოსახლეობის დამაკავშირებელი გზა ყოფილა მეზობელ დასახლებულ პუნქტებთან.

თანდათანობით, როცა ჩხოროწყუში მოსახლეობა მომრავლდა იგი ადმინისტრაციულ ერთეულად იქცა და ეკლესიაც აიგო. 1909 წლის 8 სექტემბერს (ძველი სტილით) ეკლესია, მღვდელ-დიაკვნების გალობით ხატ-სანთლებითა და თორმეტი დადიანური ზარბაზნის გრიალში ადგილი „ჩხოროწყუ“-დ მონათლა და აქვე დაინიშნა ყოველწლიური ბაზრობა „იარმარკობა“, რომელიც დიდძალ ხალხს იზიდავდა. ეს ტერიტორია 1917 წლამდე ქუთაისის გუბერნიის ზუგდიდის მაზრაში შედიოდა. 1929 წლიდან კი ჩხოროწყუ ცალკე ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დანაყოფია.

გახსენება

# აპოლონ პერტენავა

**შესანიშნავი ადამიანი, ვაჟკაცი, შემოქმედებითი ნიჭით დაჯილდოვებული, აბაშის საამაყო შვილი იყო აპოლონ პერტენავა. გასული საუკუნის ავადსახსენებელ 30-იან წლებში ფრიად განსწავლულმა ახალგაზრდა ზოოტექნიკოსმა საქართველოს სხვადასხვა რაიონში იმუშავა. როგორც საუკეთესო მუშაკი, მაშინდელი უმაღლესი ხელისუფლების ლიდერის პორტრეტით დაჯილდოვდა. იმხანად, ეს იყო ერთ-ერთი უმაღლესი ჯილდო.**

აპოლონ პერტენავა წერდა ლექსებს, ნარკვევებს, ჩანახატებს. აქვეყნებდა მათ სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთებში „ჩაგრავას“ ფსევდონიმით. მან თამარ მიმინოშვილთან ერთად შექმნა ბედნიერი ოჯახი. ქვეყანას მოუვლინა ორი ქალიშვილი. ყველაფერი კარგად მიმდინარეობდა, მაგრამ მუხანათური დასმენის შედეგად, იმ ეპოქის სანიმუშო ადამიანი ცილისწამების მსხვერპლი გახდა და 1937 წელს დახვრიტეს. მძიმე მდგომარეობაში ჩავარდა მეუღლე, მცირეწლოვანი ბავშვები. სამწუხაროდ, მეუღლე თამარი ქმრის დახვრეტიდან ერთი წლის შემდეგ მძიმედ დაავადდა და აღესრულა.

ობლობაში იზრდებოდნენ მშობლების სიყვარულს მოკლებული ლიანა და ცისანა, რომლებსაც მხოლოდ 1957 წელს აცნობეს მათთვის საამაყო მამის უდანაშაულობა და რეაბილიტაცია. ეს იყო მოუშუშებელი ტკივილი და ბედის ირონია.

დღეს ობლად გაზრდილი დები თავიანთ ოჯახებში მყოფნი, შვილებთან და შვილიშვილებთან იხსენებენ წარსულის მძიმე ხვედრს...

**შვილები**



## მილოცვა

# მეუფე ბენედიქტე (ბეჟითი ჯალაღონია) — 80



ლეგენდარულ რელიგიურ მოღვაწეს, პოეტს და მთარგმნელს, მეუფე ბენედიქტეს (ბეჟითი ჯალაღონიას) სულით და გულით ვულოცავ შობა-ახალ წელს და 80 წლის იუბილეს! ვუსურვებ დიდი ხნის ჯანმრთელ სიცოცხლეს! მალე ეხილოს ქრისტიანობის და სამშობლოს ერთობლივი აღორძინება!

ლეგენდარური რელიგიური მოღალეს, პოეტის დო გინმათანგალც, მეუფე ბენედიქტეს (ბეჟითი ჯალაღონიას) შურ დო გურით მივახვამა ქირსეკალანდას დო 80 წანაში იუბილეს! ვუზალა ბრელხანიში სინთელუანი რინას! მალას ქოუძირდას ქირსეანობაში დო ოდაბადეში ართოიანი გოფალუაგოპირუა!

მეუფე ბენედიქტე, თქვანი დუდი მინჯეთ დო წირსფალო ვამოლასუდას შურობუმ მარგალონას!..

ქვერსემი პატმეჩამათ დო ქირსეანური ცოროფათ,

**ზურაბ კვარაცხელია**

## მილოცვა



# კოტე ნაჭყებია — 65

თვალსაჩინო ეროვნულ და საზოგადო მოღვაწეს, შესანიშნავ პოეტს, ჩემს ძველ მეგობარ-თანამებრძოლს, ბატონ კოტე ნაჭყებიას 65 წელი შეუსრულდა.

ბატონი კოტე ჯერ კიდევ იმ დროს გავიცანი, როცა ეროვნული მოძრაობის წარმომადგენლებს არაფორმალებს გვეძახდნენ... ყველამ ვიცით გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან დღემდე თუ რა პროცესები განვითარდა ჩვენს სამშობლოში, ვიცით ასევე, რომ ამ პროცესებში ბევრმა თავი შეირცხვინა... ვიცით ნამდვილი მამულიშვილობის სამაგალითო ფაქტებიც. ჰოდა, მინდა გითხრათ, რომ ბატონი კოტე ნაჭყებია ჩვენი სამშობლოს ერთ-ერთი საამაყო მამულიშვილია.

მინდა გულრწფელად მივულოცო მას 65 წლის იუბილე და ვუსურვო დიდი ხნის ჯანმრთელი სიცოცხლე. მინდა ასევე ვუსურვო, რომ მალე ეხილოს საყვარელი სამშობლოს გამთლიანება და აღორძინება.

ჩქიმი კოტე, მიგახვამა 65 წანაში იუბილეს. ბრელხანც ქოცოფედა სინთელუანო დო მალას ქოიძირდას შურობუმ ოდაბადეში გოართიანება-გოპირუა...

ქირსეანური დო ჯიმალური-მაცალური ცოროფათ,

**ზურაბ კვარაცხელია,**

გაზეთ „ილორის“ რედაქტორი
**ეკა ნასყიდაშვილი**

## მილოცვა




# ვახტანგ კეკელია — 70

ეროვნულ და საზოგადო მოღვაწეს, ჩემს უფროს მეგობარ-თანამებრძოლს, ბატონ ვახტანგ კეკელიას 70 წელი შეუსრულდა.

ბატონი ვახტანგი 1989 წელს გავიცანი და მას შემდეგ ჩვენ ერთმანეთთან გვაკავშირებს საერთო იდეალები და ძმური, მეგობრული ურთიერთობა... ცხადია, ცხოვრების გზაზე შევხვედრივარ უამრავ წესიერ, სულიერად გაუტეხელ ადამიანს და უნდა ვაღიარო, რომ ვახტანგ კეკელია მათში ერთ-ერთი გამორჩეულთაგანია.

მინდა სულით და გულით მივულოცო მას — 70 წლის იუბილე. მინდა ვუსურვო მას — დიდი ხნის ჯანმრთელი სიცოცხლე. მინდა ვუსურვო მას — ოცნებების და ნატვრის ასრულება, ვუსურვო — კოლხა-იბერიის გაერთიანება და აღორძინება, ვუსურვო — გულრიფშში თავის საყვარელ ოჯახთან ერთად თავაწეულად დაბრუნება...

ჩქიმი ჯიმა ვახტანგი, მიგახვამა 70 წანაში იუბილეს. ბრელხანც ქოცოფედა სინთელუანო. ირფერი ჯგირობუა სქანი ოცოროფე ფანიაწკგმა ცოფედას... ქგმოჭიშაფდა შურობუმ ოდაბადეში გოართიანება-გოპირუას...

ქირსეანური დო ჯიმალური-მაცალური ცოროფათ,

**ზურაბ კვარაცხელია**

აბაშის ეროვნული მოძრაობის „ძველი გვარდიის“ წევრები 70 წლის იუბილეს ულოცავენ ჰელსინკის კავშირის წევრს 1989 წლიდან, ვახტანგ კეკელიას. უსურვებენ ჯანმრთელობას, დიდი ხნის სიცოცხლეს და წარმატებებს ეროვნული საქმის კეთებაში.

ვახტანგ, ჯიმა, მიგახვამანთ ერჩქინაშ დღას, ენა ართი დო შხვა ანთასი. ქუმოფჭიშაფუდათ ჩქინ ოხვამურ ოდაბადეშ გოპირუა-გოხვიჩინაფას

აბაშა ეროვნული მოძრაობის „ძველი გვარდია“

## სამძიმარი



ქალბატონებს: ნანა და ირმა კვაშილავებს, გულრწფელად თანავუგრძნობთ ძვირფასი მამის, ბატონ ვაჟა კვაშილავას გარდაცვალების გამო...

ასევე თანავუგრძნობთ ბატონი ვაჟას თითოეულ ჭირისუფალს...

უფალმა გაანათლოს ამ დიდებული ადამიანის სული...

ჩხონაფა ცოფედას, პატგნი ვაჟა კვაშილავაში შურიში...

**ზურაბ კვარაცხელია**

## სამძიმარი



საოცრად დაგვწყვიტა გული დიდებული პიროვნების, ბატონ სერგო გულუას გარდაცვალებამ. ნამდვილად დასანანია, რომ ამგვარი კეთილშობილი ადამიანები ნაადრევად მიდიან საიქაოდან. ვწუხვართ, რომ ბატონ სერგოს თავისი განუმეორებელი და კეთილი ღიმილით ამიერიდან ვეღარ ვიხილავთ. ჩვენ ისღა დაგვრჩენია გულრწფელად მივუსამძიმროთ მის საყვარელ ოჯახს და ასევე თითოეულ ჭირისუფალს.

უფალმა სასუფეველი დაგიმკვიდროთ, ბატონო სერგო...

ჩხონაფა ცოფედას თქვანი წკონდა შურიში...

| | |
|---|---|
| თამაზ თოლორაია | ნია თოლორაია |
| როენა თოლორაია | სოსანა თოლორაია |
| ქეთევან თოლორაია | ელენე თოლორაია |
| მაია ხორგუანი | გიორგი კვარაცხელია |
| ნინო კვარაცხელია | დავით ჭითანავა |
| თამარ ჭითანავა | მიხეილ ჭითანავა |
| ტატა თოლორაია | ზურაბ კვარაცხელია |

## მილოცვა



# დემურ ანთია — 70

თვალსაჩინო ეროვნული და საზოგადო მოღვაწე, ჩემი ძველი და უფროსი მეგობარი, ბატონი დემურ ანთია უკვე 70 წლის გამხდარა... ცხადია, ეს არაა დიდი და კატასტროფული ასაკი, მაგრამ ფაქტია, რომ წლები რაღაც ძალიან სწრაფად მიჰქრიან... რა გაეწყობა, მთავარი ისაა, რომ იუბილარი საოცრად ახალგაზრდულად და მხნედ გამოიყურება.

ისღა დამრჩენია, გულითადად მივულოცო მას 70 წლის იუბილე და ვუსურვო დიდი ხნის ჯანმრთელი სიცოცხლე. დიდხანს იხაროს და იბედნიეროს საყვარელ ოჯახთან ერთად. ვიცი რა მისი ნატვრაც, დაე, მალე ახდენოდეს ის და ეხილოს ეროვნულ-ტრადიციულ-მართლმადიდებლურ ფასეულობებზე ორიენტირებული გაერთიანებული კოლხა-იბერია...

დემური, ჯიმა, მიგახვამა 70 წანაში იუბილეს. ბრელხანც ქოცოფედა სინთელუანო დო ბედინერო სქანი ოცოროფე ფანიაწკგმა ართო... ქგმოჭიშაფდა შურობუმ ოდაბადეში გოპირუას...

ქირსეანური დო ჯიმალური-მაცალური ცოროფათ,

**ზურაბ კვარაცხელია**

გაზეთ „ილორის“ რედაქტორი
**ეკა ნასყიდაშვილი**


## სასწაულმოქმედი პრეპარატები «დომენტოლი» და «გაგენოლი» მუდამ იქნებიან თქვენი ჯანმრთელობის სამსახურში




დომენტი გაგნიძის მიერ შექმნილი პრეპარატი არჩენს ავთვისებიან სიმსივნურ დაავადებებს, კუჭ-ნაწლავის გაუვალობას, კოლიტს, ფისტულას, პროსტატიტს, ბუასილს, ნერვის ანთებას, ნევროზს, ფსიქიკურად დაავადებულებს, ჰკურნავს გაფანტულ სკლეროზს და შიდსს, შვილის ცერებრალურ დამბლას, ყურებიდან ჩირქდენას, ბოტულიზმს, ტუბერკულოზს, ცეროზს I და II სტადიებში. C-ჰეპატიტს, ნაღვლის ბუშტის დაავადებებს, ანთებით პროცესებს, სახსრების დაავადებებს, ამყარებს იმუნიტეტს და სხვა მრავალ დაავადებას.

მკურნალის საქმეს წარმატებით აგრძელებენ მისი შვილები: ზეზვა და დოდო.

კოორდინატებია: თბილისი, აწყურის ქუჩა №70 (მეტრო „ისანთან“), ყოველდღე — 10-დან 16 საათამდე.

**ტელ: 593-22-66-51; 593-62-28-48**

**მასთან სიცოცხლეზე ხელჩაქნეულები მიდიან და ჯანმრთელები ბრუნდებიან**


ISSN 1987-8966 „ილორი“
7 719873 960097

რედაქციის მისამართი:
თბილისი,
ბაქრაძის ქუჩა №6
234-32-95

მთავარი რედაქტორი: ეკა ნასყიდაშვილი

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით
ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.
ორი თაბახის ფურცელზე მეტი მოცულობის ტექსტი რედაქციას უნდა გაეგზავნოს ელ.ფოსტით: gazeti-ilori@mail.ru (ან ლაზერის დისკით).

გაზეთ „ილორის“ გაცნობა შეგიძლიათ „საქინფორმის“ ვებგვერდზე
www.saqinform.ge